პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 275 (9435) | პარასკევი, 21 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საკუთრება — (მოწინავე 1-ლი გვერდი).
მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის (1-ლი გვერდი).
ქალაქ რუსთავის პარტიული აქტივის კრება (მე-2 გვერდი).
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში (მე-2 გვერდი).
ტყიბულელმა გინათმშენებლებმა უკეთესად უნდა იმუშაონ (მე-3 გვერდი).
მოსკოვის ამბები (მე-3 გვერდი).
ხუტა ბერულავა — ახალგაზრდა პოეტების ლექსები (მე-3 გვერდი).
აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალი საწარმოო კორპუსი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური საკუთრება

საბჭოთა ხალხმა ლენინ—სტალინის პარტიის, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა. მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულების შედეგად მოკლე ხანში არა მარტო აღდგენილ, არამედ მნიშვნელოვნად გადაჭარბებული იქნა ომისწინა-დროინდელი დონე სახალხო მეურნეობაში. ამან საბჭოთა ხალხს საშუალება მისცა გაეჩაღებინა კომუნიზმის ეპოქის გრანდიოზული მშენებლობანი ვოლგასა და დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე, სამხრეთ უკრაინასა და ყირიმში... წარმატებით ხორციელდება მინდორ-საცავი ტყის ზოლების გაშენების დიადი გეგმა. უკვე მწყობრში ჩადგა კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო—ვოლგა-დონის უდიდესი სანაოსნო არხი. დიად მშენებლობათა—ამ სტალინურ მიზანდასახულობათა განხორციელებით იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უდიდესი მუშაობა, რაც საბჭოთა ხალხმა ომის პერიოდსა და მშვიდობიან შემოქმედებითს წლებში ჩაატარა, შეაჯამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ. ყრილობამ მიიღო დირექტივები საბჭოთა კავშირის განვითარების 1950-1955 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, დაამტკიცა პარტიის ახალი წესდება, რომელშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარ ამოცანად მიმდინარე პერიოდში აღიარებულია კომუნისტური საზოგადოების აშენება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით.

ამ ისტორიული ამოცანის განხორციელების საქმე მოითხოვს სულ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლოთ საბჭოთა წყობილების საფუძვლის—სოციალისტური საკუთრების დაცვისა და გაძლიერებისათვის. სტალინური კონსტიტუცია ყოველ მოქალაქეს ავალებს თვალისჩინივით გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო.

ჩვენი პარტია, პარტიისა და ხალხის დიდი ბელადები და მასწავლებლები ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პარტიის ყოველ წევრს, ყოველ საბჭოთა ადამიანს ყოველთვის მიუთითებდნენ სოციალისტური საკუთრების დაცვის აუცილებლობაზე, მოითხოვდნენ საბჭოთა კანონის მთელი სისასტიკით გამოვუცხადოთ ბრძოლა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლებს, ქურდებს, გამფლანგველებს, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში, მართალია, გამონაკლისს შეადგენენ, მაგრამ, თავიანთი მავნებლური მოქმედებით ძირს უთხრიან საბჭოთა სახელმწიფოს, ხელს უშლიან ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, აფერხებენ სახალხო მეურნეობის განვითარებას.

„ჩვენი წყობილების საფუძველს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი დაახლოებით ოცი წლის წინათ, პირველი ხუთწლედის შედეგების შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, — **წარმოადგენს საზოგადოებრივი საკუთრება, ისე როგორც კაპიტალიზმის საფუძველს — კერძო საკუთრება. თუ კაპიტალისტებმა კერძო საკუთრება გამოაცხადეს წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად, მიაღწიეს რა თავის დროზე კაპიტალისტური წყობილების განმტკიცებას, ჩვენ, კომუნისტებმა, მით უფრო უნდა გამოვაცხადოთ საზოგადოებრივი საკუთრება წმიდათა-წმიდად და ხელშეუხებლად, რათა ამ გზით განვამტკიცოთ მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმები წარმოებისა და ვაჭრობის ყველა დარგში. საზოგადოებრივი საკუთრების, — სულ ერთია, იქნება ეს სახელმწიფოებრივი საკუთრება თუ კოოპერაციული ან საკოლმეურნეო საკუთრება, — ქურდობისა და მტაცებლობის დაშვება და ასეთ კონტრრევოლუციურ უმსგავსოებათა უყურადღებოდ დატოვება — ნიშნავს ხელი შეუწყო საბჭოთა წყობილების ძირის გამოთხრას, იმ წყობილებისა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ საკუთრებას, როგორც თავის ბაზას“.**

უკანასკნელ ხანებში საქართველოში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული სოციალისტური საკუთრების დაცვისა და რევოლუციური კანონიერების განუხრელად გატარების დარგში. საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოებმა, ასრულებდნენ რა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებებს, გააძლიერეს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. ამის შედეგად შემცირდა სახელმწიფო და კოოპერაციული თანხების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის სახელმწიფო თანხების მითვისება-განიავების, ქურდობისა და მექრთამეობის შემთხვევები, ხოლო პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოების მხრივ მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები ყოველთვის როდია ქმედითი და რადიკალური.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მოისმინა რესპუბლიკის პროკურორის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, იუსტიციის მინისტრისა და რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ ეწევიან ისინი და მათი ადგილობრივი ორგანოები საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების საქმეთა წინააღმდეგ ბრძოლას. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ, მართალია, პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, იუსტიციის სამინისტრომ და მილიციის ორგანოებმა უკანასკნელ პერიოდში გაუმჯობესეს მუშაობა აღნიშნული სახის დანაშაულობათა გამოძიება-განხილვის მხრივ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები, როცა დანაშაულებრივად ჭიანურდება და დაბალხარისხოვნად წარმოებს გაფლანგვა-დატაცებისა და მექრთამეობის, მოძხმარებელთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების შესახებ აღძრული საქმეების გამოძიება, მათი განხილვა, გამფლანგველების, მექრთამეების წინააღმდეგ გამოაქვთ უკანონო, ლიბერალური განაჩენები.

სასამართლო-პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების გამფლანგველთა და დამტაცებელთა ქონებაზე წინასწარი ყადაღის დადებისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეში. არის შემთხვევები, როცა უმაღლესი სასამართლო საკასაციო და ზედამხედველობის წესით საქმეების განხილვის დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევს უხეშ შეცდომებსა და განაჩენების ლიბერალურ ხასიათს, რასაც უშვებენ მათი განხილვის დროს ქვემდებარე სასამართლოები. იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ სუსტად უწევს კონტროლს სასამართლოთა განაჩენების იმ ნაწილის აღსრულებას, რომელიც ეხება სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვთ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გახსნისა და გამოძიების საქმეში მილიციის ორგანოებს.

მნიშვნელოვან დარღვევებს აქვს ამ მხრივ ადგილი თვით სავაჭრო ორგანიზაციებშიც. ამ ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი, განსაკუთრებით ცეკავშირის სისტემაში, არ იღებს ზომებს იმისათვის, რომ საგამომძიებლო ორგანოებს დროზე გადაეცეთ მექრთამეთა, სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ქონების გამფლანგველთა და დამტაცებელთა საქმეები. ეს მნიშვნელოვნად აფერხებს საქმის გამოძიებას, აძნელებს მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ რესპუბლიკის პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს და რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერაციულ ორგანიზაციებში მექრთამეობის, გაფლანგვა-დატაცების, ზომა-წონასა და ანგარიშში მოძხმარებელთა მოტყუების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ბოლო უნდა მოეღოს ამ კატეგორიის საქმეთა გამოძიებასა და გარჩევაში ლიბერალიზმს, გაჭიანურებისა და დაბალხარისხოვანი გამოძიების შემთხვევებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. ამ ამოცანათა შესრულების საქმე მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა და კონტროლი პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ადგილობრივი ორგანოებისადმი. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ამოცანა დგას საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის ხელმძღვანელობის წინაშე. მათ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ დოკუმენტალურ რევიზიათა ხარისხის გაუმჯობესების, მასალების გაფორმებისა და საგამომძიებლო ორგანოებისათვის საქმეთა თავის დროზე გადაცემის მხრივ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ კოოპერაციული ქონების გამფლანგველთა საქმის გამოძიების გაჭიანურებისა და გამოძიების წესების დარღვევისათვის თანამდებობიდან მოხსნა წალკის რაიონის პროკურორი ივანოვი და მარნეულის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსი ორჯონიკიძე, საქმის გაჭიანურებისა და კოოპერაციული ქონების გამფლანგველთა წინააღმდეგ ლიბერალური განაჩენის გამოტანისათვის თანამდებობიდან მოიხსნა აგრეთვე სიღნაღის რაიონის პირველი უბნის მოსამართლე გოძიაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ, იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის მილიციის სამმართველომ, საქართველოს ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა ყველა ზომა უნდა მიიღონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განუხრელი განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-დატაცებას, გამოუმეღავნებელი და დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი პირი, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ საკუთრებას.

დიდი მუშაობა მართებთ ამ მიმართულებით ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სისტემატურად უნდა მოისმინონ პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ადგილობრივი ორგანოების ანგარიშები, გააძლიერონ დახმარება და კონტროლი მათი მუშაობისადმი. სისტემატური კონტროლი უნდა გაეწიოს სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობას, იმას, თუ როგორ იბრძვიან ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები გაფლანგვა-დატაცების, მექრთამეობისა და მომხმარებელთა ზომა-წონაში მოტყუების ყოველი კონკრეტული შემთხვევის წინააღმდეგ.

„ჩვენი დროის რევოლუციური კანონიერება, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — **თავისი მახვილით მიმართულია... ქურდებისა და მავნებლებს წინააღმდეგ საზოგადოებრივ მეურნეობაში, ხულიგნებისა და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ. მაშასადამე, რევოლუციური კანონიერების ძირითადი საზრუნავი ჩვენს დროში არის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა და არა სხვა რამ.**

აი ამიტომ ბრძოლა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისათვის, ბრძოლა ყველა ღონისძიებითა და საშუალებით, როგორსაც კი გვაძლევენ საბჭოთა ხელისუფლების კანონები,—პარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს“.

მტკიცედ დავიცვათ და გავუფრთხილდეთ სოციალისტურ საკუთრებას, გავაძლიეროთ ბრძოლა გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ — ასეთია ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სასამართლო-პროკურატურისა და მილიციის ორგანოთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის

ახალი მოდელის საბავშვო ფეხსაცმელი

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები. ეს გამარჯვება მოპოვებულ იქნა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მანქანა-მოწყობილობის უკეთ გამოყენებით, მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით.

მეფეხსაცმელეებმა ოქტომბრის დავალება 116 პროცენტით შეასრულეს, დაზოგეს 14.500 დეციმეტრი საძირე და 12.000 დეციმეტრი საზედაპირე ტყავი, აგრეთვე 300 კილოგრამი ლურსმანი.

ოქტომბერში ყველაზე უკეთესი საწარმოო შედეგი მოიპოვა ფეხსაცმლის სარჩულის გამომჭრელთა იმ ბრიგადამ, რომელსაც ვ. მიქელაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 106 მეტრი ტილო დაზოგა და დიდი გადაჭარბებით გაანაღდა საწარმოო დავალება. ფეხსაცმლის ზედაპირის გადამჭიმავთა ა. კოპელაშვილის ბრიგადამ თვიური დავალება 150 პროცენტით შეასრულა და თვალსაჩინოდ გააუმჯობესა ხარისხი.

ფეხსაცმლის ზედაპირის გამომჭრელმა სტახანოველებმა გ. ჯორჯაძემ და ს. ორდინიანმა ოქტომბრის დავალებას 50 პროცენტით გადააჭარბეს, ამასთან თვითეულმა დაზოგა 600 დეციმეტრი ტყავი. თვიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს და დიდძალი საძირე ტყავი დაზოგეს აგრეთვე სტახანოველებმა ბ. ლამაზოვმა, ა. ნავასარდოვმა, კ. სარხოსიდმა და ს. მარქაროვმა.

ფაბრიკის კოლექტივმა ოქტომბერში აითვისა ოთხი ახალი მოდელის საბავშვო ფეხსაცმლის წარმოება და პირველი ნოემბრიდან დაიწყო მათი მასობრივი გამოშვება.

მეფეხსაცმელეებმა ნოემბერში უფრო გააძლიერეს მუშაობა და იმისათვის იბრძვიან, რომ 25 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური გეგმა.

ნიუკრი გეგმა 5 დეკემბრისათვის

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონული საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა 114 პროცენტით შეასრულა მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა, შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესა ხარისხი.

კომბინატის საწარმოები წარმატებით მუშაობენ ნოემბერშიც და ყოველდღიურ დავალებებს საგრძნობი გადაჭარბებით ანაღდებენ.

კომბინატის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატთან და იკისრა წლიური გეგმა შეასრულოს 5 დეკემბრისათვის, გამოუშვას 150.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მეეღმავლეთა შრომითი მამაცობა

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და დიდი სტალინის ბრძნული სიტყვით აღფრთოვანებულმა მეელმავლეებმა ოქტომბერში ელმავლების სამუალო-სადღეღამისო გარბენის დავალება შვიდი კილომეტრის გადამეტებით შეასრულეს, ნორმასთან შედარებით ტექნიკური სიჩქარე გაადიდეს ერთი კილომეტრით, დიდი რაოდენობით დაზოგეს ელექტროენერგია, შეამცირეს ელმავლების შეკეთებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა და 176 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს.

მეელმავლეთა შრომითი აქტივობა კიდევ უფრო გაიზარდა ნოემბერში. მათ ერთსულოვნად გადაწყვეტეს განგრძონ სოციალისტური შეჯიბრება წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშს იძლევა საელმავლო დეპოს სიამაყე—პარტიის XIX ყრილობის სახელობის ელექტრომავალთა კოლონა. ამ კოლონის მემანქანეები ს. გოგოლაძე, ო. ლიკლიკაძე, გ. ბოგვერაძე, გ. ბერუაშვილი, გ. ლიკლიკაძე და პ. არევაძე მძიმე წონის მატარებელთა ტარების ცნობილი ოსტატები არიან. საოქტომბრო შეჯიბრებაში კოლონის თვითეულმა მემანქანემ 18 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა. ნოემბერში ელექტრომავალთა კოლონა სტახანოვურ ვახტზე დგას და დღითიდღე აძლიერებს მუშაობას. მემანქანემ ს. გოგოლაძემ თავისი ელექტრომავლით ნოემბრის პირველ კვირაში გეგმის გადამეტებით გადაზიდა 4 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი და ყველა შემადგენლობა დანიშნულების ადგილას მიიყვანა გრაფიკთან შედარებით 25 წუთით ადრე. გ. ბერუაშვილმა ამავე პერიოდში ორი მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანა, ტექნიკური სიჩქარის გადიდებასთან ერთად დიდი რაოდენობით დაზოგა ელექტროენერგია და საცხები მასალა. ასევე მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ კოლონის დანარჩენი მემანქანეებიც.

მაღალი სანარმოო მაჩვენებლებით შეეხვედეთ სგალინური კონსტიტუციის დღეს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სამგზავრო-სავაგონო საამქროს კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი, ქარხნის საამქროთა შორის პირველობა მოიპოვა და გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა განამტკიცოს მოპოვებული მიღწევები და მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდეს სტალინური კონსტიტუციის დღეს—5 დეკემბერს. ამ დღის ღირსეულად შეხვედრისათვის კოლექტივმა იკისრა ნოემბერში თვიური გეგმის გადამეტებით შეაკეთოს 1 სამგზავრო ვაგონი, ძველი მასალების გამოყენებით დაზოგოს 50 ათასი მანეთი, დაფაროს 12 რაციონალიზატორული წინადადება, რაც საამქროს 10 ათას მანეთ ეკონომიას მისცემს.

საამქროში ფართოდ გაჩაღდა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. საამქროს მთელი კოლექტივი სტახანოვურ ვახტზე დადგა და ნოემბერი სტახანოვურ თვედ გამოაცხადა.

20 ნოემბრისათვის ზ. ხიზანიშვილის საოსტატომ, რომელიც ყველაზე დიდი საოსტატოა საამქროში, თვიური საწარმოო დავალება 130 პროცენტით შეასრულა. დურგალთა ი. ლობანოვის საოსტატომ 19 რიცხვისათვის თვიური გეგმა 120 პროცენტით გაანაღდა, ხოლო ახალგაზრდა ინჟინერ გ. ახობაძის, შ. გურგენიძის, თ. ნიკოლაიშვილის საოსტატოებმა ორ დეკადაში თვიური გეგმები 95 პროცენტით შეასრულეს.

სტახანოვურად შრომობენ და დღიურ ნორმებს სამმაგად ანაღდებენ დურგალი ს. ზადიკაშვილი, ზეინკლები ვ. მარგუშინი, ა. მანჯგალაძე, მექვაბეები მ. ფეიქრიშვილი, ი. ფირანიშვილი, მღებავი ს. ჩერვიაკოვი, მხურავი ა. სოტნიაშვილი და სხვ. (**„კომუნისტის“ კორ.**).

მეჯი უართო მოხმარების საქონელი

წულუკიძის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოთა კოლექტივებმა წარმატებით გაანაღდეს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის იბრძვიან.

შრომითი აღმავლობაა საფეიქრო, საავეჯო, სახერხ და ლიმონათის საამქროებში. აღნიშნულ საამქროთა კოლექტივებმა 25 ოქტომბრისათვის შეასრულეს 10 თვის დავალება და დიდძალი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

განსაკუთრებით დაწინაურდა კირის ქარხანა, რომელმაც წლიური გეგმა 10 ნოემბრისათვის შეასრულა და იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 30 ტონა კირი გამოუშვას.

ნაკისრი ვალდებულების განაღდებისათვის თავდადებით შრომობენ გამომწველები ყ. ფირცხალავა და ვ. ხურცილავა, ამფეთქებელი შ. გახოკიძე და სხვ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ და მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ. (**„კომუნისტის“ კორ.**).

მეხუთე სტალინური ხუთწლედის მშენებლობებზე

თბილისის ახალი ღირსშესანიშნაობა

საბურთალოზე დელისის ვრცელ ჭაობიან მინდორს სკრეპერები, ბულდოზერები, ექსკავატორები და მიწისსათხრელი სხვა მექანიზმები მისდგომიან, მიწა დაბლობისკენ გადაიქცევა, ხოლო იქვე, ცოტა მოშორებით, ხუროები შენობების კედლებს თავზე მოჰქცევიან, შენობას გადასახურავად ამზადებენ.

რას აკეთებენ მიწისსათხრელი ეს მექანიზმები, ეს მშენებელი მუშები დელისის მინდორზე?

— ახალ, საუკეთესოდ მოწყობილ იპოდრომს. თბილისის ახალი იპოდრომი, რომელიც დელისის მინდორზე შენდება, საუკეთესოთაგანი იქნება თავისი მოხდენილი მდებარეობით, მწვანე მიდამოებით, პეიზაჟით, კეთილმოწყობით და კიდევ იმით, რომ ეს იქნება უნიკალური იპოდრომი, სადაც შესაძლებელი იქნება „ხევსურული დოღის“ მოწყობა. „ხევსურული დოღი“ ცხენოსნური სპორტის მეტად ორიგინალური, უაღრესად საინტერესო ეროვნული სახეობაა. მეცხენეობის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში არც ერთი ხალხი არ იცნობს ცხენოსნური სპორტის ისეთ სახეობას, როგორიც ეს დოღია: მხედრები უბელო (შეუკაზმავ) ცხენებს მიაჭენებენ უგზო-უკვლო ადგილებზე, აღმართებსა და ციცაბო თავდაღმართებში, კლდეებში, ისეთ ადგილებზე, სადაც ბარად გაზრდილ კაცს ქვეითად გავლაც გაუჭირდება.

თბილისის ახალი იპოდრომი თავისი სადოღე წრითა და ნაგებობათა თავისი კომპლექსით მთლიანად დაიკავებს იმ დიდ სივრცეს, რომელიც დელისის სერსა და სამედიცინო ქალაქის უბანს შუა მდებარეობს. 65 ჰექტარი ფართობია გადაცემული მშენებელთა განკარგულებაში. აქ უნდა აშენდეს კეთილმოწყობილი საჯინიბოები, საევტერინარო ამბულატორია, ცხენების საკვების საწყობები, მომსახურე პერსონალის ბინები, სადოღე მოედანი მაყურებელთა ტრიბუნებით, აგრეთვე პავილიონები, რესტორანი, ფარდულები...

იპოდრომის მშენებლობის დაწყება აუცილებელს ხდის ქალაქის კეთილმოწყობის მთელ რიგ ახალ სამუშაოთა შესრულებას — ნიაღვარსაშვები ქსელის მოწყობას, რაც საესებით გააჯანსაღებს მთელ საბურთალოს, მის დაკავშირებას ახალი სატრანსპორტო მაგისტრალებით ქალაქის სხვა უბნებთან, პირველ რიგში ვაკესთან. იპოდრომიდან ახალი მაგისტრალური ქუჩა გაჰკვეთს დელისის სერს და ხიდის საშუალებით შეუერთდება უნივერსიტეტის ქუჩას ვაკის პარკის მთავარი შესასვლელის მახლობლად.

ახალი იპოდრომის მშენებლობის შესრულება მინდობილი აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციას „საქსოფლმშენს“. იპოდრომისა და მთელი მისი კომპლექსის მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟინერი ნ. პაპაძე. მშენებლები, რომლებმაც მრავალი ასეული ათასი კუბმეტრი მიწისა და ბეტონის სამუშაო უნდა შეასრულონ, უნდა გაიყვანონ დიდი ღვარსადენი გვირაბი საბურთალოდან ვერის ხეობაში, მოაწყონ სადოღე მოედანი და ააგონ ყველა საჭირო ნაგებობანი, მუშაობას შეუდგნენ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ. ამჟამად მათ უკვე შესრულებული აქვთ სამუშაოთა მთელი მოცულობის ერთ მესამედზე მეტი. მშენებლებმა იკისრეს იპოდრომის სამშენებლო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ ვადამდე, — 1954 წლისათვის.

მეხუთე სტალინური ხუთწლედის ამ მშენებლობაზე მომუშავეთა შორის პატრიოტული შრომით გამოირჩევიან ღვარსადენი გვირაბის მშენებლები ტექნიკოსი გ. დათუაშვილი, გამყვანები გ. ჭამელაშვილი, ა. პოზოვი, ხუროების ბრიგადა მ. პაპაძის ხელმძღვანელობით და სხვ.

ახალი იპოდრომი — საქართველოში მეცხენეობის განვითარებისა და ცხენოსნური სპორტის შემდგომი პოპულარიზაციის მძლავრი ბაზა — რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის ახალი ღირსშესანიშნაობა იქნება.

დ. ამირანიძე.

ბულგარეთის მშრომელნი სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“

სოფია, 19 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის მშრომელნი დიდი ინტერესით სწავლობენ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, შრომითს კოოპერაციულ-სამეწარმოოქმედო მეურნეობებსა და მტს-ებში ამართება ლექციები და მოხსენებანი, ეწყობა ამხანაგ სტალინის შრომისადმი მიძღვნილი საუბრები.

გუშინ სოფიაში უმაღლეს ეკონომიკის ინსტიტუტში პროფესორმა ჟაკ ნატანმა სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის გააკეთა მოხსენება ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

უმაღლეს ეკონომიკის ინსტიტუტში შექმნილია კაბინეტი, სადაც კონსულტაციას აძლევენ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაიწყო ლექციების ციკლი, რომელიც მოაწყო ბულგარეთის მეცნიერ მუშაკთა კავშირმა, ლექციებს კითხულობენ თვალსაჩინო მეცნიერი ეკონომისტები. ქალაქ ტროიანში მშრომელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ მოწყობილი ლექცია ი. ბ. სტალინის შრომის შესახებ. მშრომელებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მოეწყოს წრეები ამხანაგ სტალინის ახალი შრომის გულდასმით შესწავლისათვის.

ქალაქ რუსთავის პარტიული აქტივის კრება

რუსთავის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, პარტიის XIX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა.

— პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა და მისი კლასიკური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, — ამბობს მომხსენებელი, — ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების დიად პროგრამას წარმოადგენს.

მომხსენებელმა აქტივის კრების მონაწილეებს გააცნო პარტიის XIX ყრილობის მიერ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანები. ჩვენი მრეწველობის საფუძველს წარმოადგენს მეტალურგია. ამიტომ ქართველ მეფოლადეთა ქალაქის — რუსთავის მშენებლების, მემონტაჟეებისა და მეტალურგების საპატიო ამოცანაა მთელი თავიანთი მუშაობა წარმართონ საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა ილაპარაკა რუსთავში მეტალურგიული წარმოების განვითარების უდიდეს პერსპექტივებზე და დაასახელა ახალი სამრეწველო ობიექტები, რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მეხუთე სტალინურ ხუთწლედში. ამის შედეგად მეტალურგიული ქარხანა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ფოლადის გამოდნობას გაადიდებს 9-ჯერ და უფრო მეტად, ნაგლინის წარმოებას — 27-ჯერ.

შემდეგ ამხ. ვ. ბუჯიაშვილი შეეხო იმ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტისა და მეტალურგიული ქარხნის მუშაობაში.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი სისტემატურად ვერ ასრულებს ქარხნისათვის საბინაო ფართობის ჩაბარების გეგმას. ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე ზოგიერთი სხვა ობიექტის მშენებლობა. ტრესტმა სამშენებლო-სამონტაჟო საძეუმათა მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა მხოლოდ 76,4 პროცენტით შეასრულა. დაბალია შესრულებული სამუშაოების ხარისხი, სუსტია შრომის დისციპლინა.

გეგმის შესრულების მხრივ უკეთესი დგომარეობა არც ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაშია. საწარმომ გასასაკუთრებით ცუდად იმუშავა მიმდინარე წლის ოქტომბერში. ჩაძორჩეხა გამოწვეულია იმით, რომ ქარხნის ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს საამქროთა ურთიერთშეუღყობილი, რიტმული მუშაობა, არ იცავენ ტექნოლოგიურ რეჟიმს, ხელს არ უწყობენ მოწინავე მუშათა მეთოდების ფართოდ დანერგვას. ქარხანაში, განსაკუთრებით მარტენის საამქროში, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი წუხისა და ავარიის შემთხვევები.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული კოხტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

ამხ. ვ. ბუჯიაშვილი ვრცლად შეჩერდა კადრებთან მუშაობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიულ სამეურნეო ორგანიზაციებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმე.

შეეხო რა ქალაქის სავაჭრო ქსელის მუშაობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მოხსენებაში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს.

პარტიული სწავლებისათვის რუსთავში გასულ წელთან შედარებით უკეთესად მოემზადნენ, მაგრამ ამ საქმეში ნაკლოვანებანიც არის. კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმე სუსტად არის დაყენებული ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორისა (მდივანი ამხ. გაგუა) და სხვა საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებთან არსებულ წრეებში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტთან არსებული ლექტორთა ჯგუფიც.

ამხ. ვ. ბუჯიაშვილის მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

— პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა,—განაცხადა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ხ. რაზმაძემ, — რუსთავის მეტალურგებში მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მარტენის საამქროს მეფოლადეებმა პატრიოტული მოწოდებით მიმართეს ჩვენი ქარხნისა და მთელი ამიერკავკასიის მეტალურგებს—შეასრულონ ახალი ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი, მაგრამ ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად განაღდებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

შემდეგ ამხ. რაზმაძემ ილაპარაკა პარტიულ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. ძირითადი ნაკლია მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი სუსტი კონტროლი. ქარხნის მთელ რიგ საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი არა აქვთ მასებთან. ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელი მოწყვეტილია პარტიულ მუშაობას. თბოელექტროცენტრალის დირექტორი ამხ. რ. მონასელიძე საამქროს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრია, მაგრამ იგი არც ბიუროს სხდომებს და არც პარტიულ კრებებს არ ესწრება. ორატორმა გააკრიტიკა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივნები იმისათვის, რომ ისინი იშვიათად გამოდიან ქარხანაში პოლიტიკური მოხსენებებით.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ზამთარაძემ აქტივის კრებას მოუთხრო იმ უდიდესი შრომითი ენთუზიაზმის შესახებ, რაც ბინათმშენებელთა შორის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის სტალინურმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს.

— ჩვენი საამქროს მეტალურგები, — თქვა მეფოლადემ ამხ. შ. კუხალეიშვილმა, — სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და თავდადებული შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან. ჩვენმა ბრიგადამ მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში გეგმის გადამეტებით გამოადნო 1.000 ტონა ფოლადი. მარტენის საამქროს მეფოლადეთა უმეტესობას, ამბობს იგი, ყოველდღიურად შეუძლია განახორციელოს ჩქაროსნული დნობა, სათანადო ხელშეწყობა და დახმარება რომ ჰქონდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. სხვადასხვა საწარმოო უბნების ურთიერთშეუთანხმებელი მუშაობის შედეგად ხშირად გვეშლება ხელი.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მმართველმა ამხ. ნ. გიორგაძემ ილაპარაკა ტრესტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. მშენებელ მუშათა ნაწილი, თქვა მან, ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს, სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მექანიზმები, სამშენებლო სამმართველოები დროზე არ მარაგდებიან ტექნიკური დოკუმენტაციით.

როგორც სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ამხ. ნ. გომელაურმა თქვა, მეტალურგიულმა ქარხანამ გასულ წელთან შედარებით 1952 წელს მრავალი ათეული მილიონი მანეთისაზე მეტი პროდუქცია გამოუშვა. ქარხნის 33 ბრიგადას მიკუთვნებული აქვს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომშვები ბრიგადის სახელწოდება. მნიშვნელოვნად გაიზარდა სტახანოველთა და დამკვრელთა რაოდენობა. ამხ. გომელაური შეჩერდა აგრეთვე იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ქარხნის მუშაობაში, და სიტყვა მისცა აქტივის კრებას, რომ მთელ ძალებს დარაზმავენ მათ გამოსასწორებლად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ბაიკაშვილმა, მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. სოფრომაძემ და სხვებმა.

პარტიული აქტივის კრებაზე გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ი. მგელაძე. ამხ. მგელაძემ აღნიშნა მეტალურგებისა და მშენებლების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის მნიშვნელოვანი ზრდა, ის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც ისინი შეხვდნენ პარტიის ისტორიული XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობის დასკვნით სხდომაზე ამხანაგ სტალინის ბრძნულ სიტყვას, ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. საქართველოს მეტალურგების ვალია სანიმუშოდ შეასრულონ ამოცანები, რომლებიც მათ დაუსახეს პარტიამ, მთავრობამ, მშობლიურმა ამხანაგმა სტალინმა.

ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს პატიოსანი კომუნისტური კრიტიკა და თვითკრიტიკა. საკმარისი როდია მარტო მოწოდება კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისაკენ, საჭიროა ქვემოდან კრიტიკის ყოველმხრივ წახალისება და მისთვის ნამდვილად მხარდაჭერა.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის და ქალაქის სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციებმა მხედველობაში უნდა მიიღონ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებათა სამართლიანი კრიტიკა და სწრაფად აღმოფხვრან ნაკლოვანებანი. ისინი მოვალენი არიან ყოველდღიურად ეხმარებოდნენ მუშებსა და სპეციალისტებს სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობა კი, კერძოდ მისი დირექტორი და პარტიული ორგანიზაცია, როგორც ეს პარტიული აქტივის კრებაზე გამოირკვა, ყოველთვის როდი უწევენ ამ დახმარებას, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სამუშაო ადგილის მომზადებას. თუ არ ამით, მაშრით შეიძლება აიხსნას, რომ ამ საქნეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მათ შესახებ ილაპარაკა კრებაზე მეფოლადემ ამხ. კუხალეიშვილმა. მისი გამოსვლიდან შევიტყეთ, რომ, როცა მას მუშაობის საჭირო პირობები შეუქმნეს, მან დნობა განახორციელა 8 საათში ნაცვლად ნორმით დაწესებული 11 საათისა.

მახსოვს, რომ ერთ-ერთ კრებაზე ამავე ნაკლოვანებების შესახებ, მუშაობისათვის საჭირო პირობების უქონლობის შესახებ ილაპარაკა მეფოლადემ ამხ. ბულგაკოვმაც.

ქარხნის დირექტორსა და პარტიულ ორგანიზაციას ამ კრიტიკიდან, როგორც ჩანს, საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ.

ყველა ამ ნაკლოვანებას ბოლო უნდა ბოეღოს. ქარხნის დირექტორი და პარტიული ორგანიზაცია ყოველნაირად უნდა უჭერდნენ მხარს მეტალურგიული საქმის ნოვატორებს, ნერგავდნენ წარმოებაში მათი მუშაობის მეთოდებს, მათი მაგალითით ასწავლიდნენ ჩამორჩენილებს. საჭიროა ვისწავლოთ წარმოების რეზერვების შემჩნევა მეფოლადეთა მუშაობის ნოვატორულ მეთოდებშიც. წარმოების ნოვატორთა თვითეული წინადადება გულდასმით, მზრუნველობით უნდა იქნას მხედველობაში მიღებული და მუშაობაში უნარიანად გამოყენებული. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება თუ არ იქნა, წინსვლა შეუძლებელია.

საჭიროა კიდევ უფრო გადაჭრით ბრძოლა წუნისმკეთებლების წინააღმდეგ. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ქარხნის მიერ წუნის გამოშვების ფაქტები.

ამხ. მგელაძემ თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი პარტიული მუშაობის საკითხებს მიუძღვნა.

ამხ. მგელაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი მეტ ყურადღებას უნდა აქცევდეს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, საჭირო დახმარებას უწევდეს მათ, ზრდიდეს პარტიულ კადრებს ისე, რომ ისინი სრულყოფილად იყვნენ დაუფლებულნი პარტიული ხელმძღვანელობის ხელოვნებას, გახდნენ პარტიული მუშაობის ოსტატები.

საქალაქო კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები მოვალე არიან უფრო ხშირად ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებს, გამოდიოდნენ ამ კრებებზე მოხსენებებით, ეხმარებოდნენ პარტბიუროების მდივნებსა და წევრებს პრაქტიკულ მუშაობაში. პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას, მათთვის დახმარებას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს საქალაქო კომიტეტის მუშაობაში.

— ამ საკითხზე რომ ვჩერდები, — თქვა ამხ. მგელაძემ, — მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქალაქო კომიტეტმა უნდა გააძლიეროს ყურადღება პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობისადმი, ახსოვდეს, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები პარტიის საფუძველს წარმოადგენენ, რომ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მხოლოდ მათზე დაყრდნობით შეუძლიათ წარმატებით ეწეოდნენ თავიანთ მუშაობას.

სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა, — აღნიშნა შემდეგ ამხ. მგელაძემ, — მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მუშათა მზარდი მატერიალური, საყოფაცხოვრებო და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ზრუნვასთან. უკანასკნელ ხანს რუსთავში გაუმჯობესდა საბინაო მშენებლობა, მაგრამ მშენებელთა მუშაობაში მაინც ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებაა, რაც ხელს უშლის სამშენებლო გეგმების შესრულებას.

პარტიული ორგანიზაციები შეუსუსტებლად უნდა უწევდნენ კონტროლს სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას, ცდილობდნენ მიაღწიონ იმას, რომ უცილობლად სრულდებოდეს ახალი საცხოვრებელი სახლების სექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები.

შეეხო რა ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს, ამხ. მგელაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს რუსთავში ბულაჩაურის წყალსადენის გაყვანის რაც შეიძლება მალე დამთავრებას.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — თქვა ამხ. მგელაძემ, — ყურადღებით ადევნებს თვალს წყალსადენის მშენებლობის მიმდინარეობას და ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ ქალაქმა წყალი მიიღოს არაუგვიანეს 15 დეკემბრისა.

უპასუხა რა კრების ზოგიერთი მონაწილის გამოსვლაზე, რომლებიც ლაპარაკობდნენ რუსთავის ქუჩების, მოედნებისა და მიდამოების გამწვანების სამუშაოებში მიღწეულ წარმატებებზე, ამხ. მგელაძემ აღნიშნა, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. რუსთავის პარტიულმა ორგანიზაციამ და მშრომელებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მათი მშობლიური ქალაქი უხვად იყოს გამწვანებული. ამის აუცილებლობას გვიკარნახებს ადგილის კლიმატური პირობებიც — ცხელი ზაფხული, ცივი შემოდგომა და ზამთრის ქარები.

პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები უფრო მეტად უნდა ზრუნავდნენ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, უფრო ხშირად ათვალიერებდნენ საერთო საცხოვრებლებს, იცოდნენ, თუ როგორ ცხოვრობენ მუშები, უფრო მეტს უნდა მუშაობდნენ ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე.

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხელმძღვანელობის ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ საჭიროა დაჩქარდეს სანატორიუმის მშენებლობა წყალტუბოში. ამას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ქართველი მეტალურგების ჯანმრთელობისათვის, მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვასთან. როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მეტალურგებს, ისე იმათაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი სანატორიუმი ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო კურორტზე დასვენებისა და მკურნალობისათვის. პარტიული ორგანიზაციები შეუსუსტებელ კონტროლს უნდა უწევდნენ ამ სანატორიუმის მშენებლობას.

რუსთაველთა მუშაობას, — თქვა დასასრულ ამხ. მგელაძემ, — თვალყურს ადევნებს მთელი ჩვენი ხალხი. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც საქართველოს კომპარტიის დახმარებითა და განსაკუთრებული მზრუნველობით არის გარემოსილი, მაღალი პატივის ღირსი გახდა: მას დიდი სტალინის სახელი მიეკუთვნა. ეს ქარხნის კოლექტივს ავალებს იმუშაოს ზუსტად, რიტმულად, სანიმუშოდ, ჩვენი რესპუბლიკის ყველა საწარმოს მაგალითს უჩვენებდეს სახელმწიფო გეგმების არა მარტო რაოდენობრივად, არამედ აგრეთვე ხარისხობრივად შესრულებისათვის ბრძოლაში. ასეთია რუსთავის მეტალურგების საპატიო ამოცანა.

ამხ. მგელაძემ რწმენა გამოთქვა, რომ რუსთავის პარტიული ორგანიზაცია პირნათლად შეასრულებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და დიდი სტალინის მითითებებიდან გამომდინარე ყველა ამოცანას და ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნისტურ მშენებლობაში.

* * *

პარტიული აქტივის კრებამ ერთსულოვნად ნოიწონა პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტიდან

პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მიერ მექრთამეობისა და გაფლანგვა-დაფაცების საქმეთა გამოძიებისა და განხილვის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა რესპუბლიკის პროკურორის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის ანგარიშები პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების მიერ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების საქმეთა გამოძიებისა და განხილვის მიმდინარეობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ, იუსტიციის სამინისტრომ, უმაღლესმა სასამართლომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველომ და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებიც ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, გაუმჯობესეს თავიანთი მუშაობა სავაჭრო ორგანიზაციების სისტემაში მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების საქმეთა გამოძიებისა და განხილვის დარგში, მათს საქმიანობას მაინც ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

აღმოფხვრილი არ არის მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების, მომხმარებელთა ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების საქმეთა გამოძიებისა და განხილვის გაჭიანურება, არის საქმეთა წარმოების კანონით დაწესებული ვადების უხეში დარღვევის შემთხვევები, თვით გამოძიება დაბალ დონეზე წარმოებს. მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების საქმეებზე ხშირად უკანონო, ლიბერალური განაჩენები გამოაქვთ.

ძლიერ არადამაკმაყოფილებლად სრულდება კანონები მექრთამეთა, სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების გამფლანგველთა და დამტაცებელთა ქონებაზე წინასწარი ყადაღის დადების შესახებ. სუსტად წარმოებს ბრძოლა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სოციალისტური საკუთრების გამფლანგველთა და დამტაცებელთა მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებლად.

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო კასაციის ან ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვის დროს სუსტად იბრძვის სასამართლოების უხეში შეცდომების წინააღმდეგ, სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა-დატაცების საქმეებზე უკანონო, ლიბერალური განაჩენების გამოტანის წინააღმდეგ. უმაღლესი სასამართლოს კოლეგია არაკმაოდ ებრძვის საქმეთა განხილვის გაჭიანურებას სასამართლო ინსტანციებში, მას არ დაუწესებია საჭირო კონტროლი განაჩენების იმ ნაწილის შესრულებისადმი, რომელიც ეხება სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველო და მილიციის ადგილობრივი ორგანოები ცუდად იძიებენ შესულ მასალებს სავაჭრო ორგანიზაციებში დატაცება-ქურდობის შესახებ. დროზე არ ხდება დამნაშავეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. სუსტად წარმოებს მუშაობა დატაცება-ქურდობის თავიდან ასაცილებლად. მილიციის მუშაკები აუჩქარებლობას იჩენენ მიმალულ დამნაშავეთა ძებნაში. მაგალითად, ამ დამნაშავეთაგან 342 კაცი, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენეს სავაჭრო ორგანიზაციებს, დღემდე მონახულნი არ არის, სავაჭრო საწარმოებში ჩადენილ 60-ზე მეტ ქურდობაში დამნაშავენი დღემდე არ არიან აღმოჩენილი და დასჯილი.

სავაჭრო ორგანიზაციების, განსაკუთრებით ცეკავშირის სისტემის ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი საგამომძიებლო ორგანოებს დიდი დაგვიანებით უგზავნის მასალებს მექრთამეთა, სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების გამფლანგველთა და დამტაცებელთა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა:

რესპუბლიკის პროკურორს ამხ. ლომიძეს, იუსტიციის მინისტრს ამხ. მამალაძეს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ფურცხვანიძეს და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. ჟღენტს მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და გააძლიერონ პროკურატურის, იუსტიციის, სასამართლოს და მილიციის ადგილობრივი ორგანოების ბრძოლა მექრთამეებთან, გამფლანგველებთან, ქურდებთან და მათ ხელშემწყობებთან სავაჭრო ორგანიზაციების სისტემაში.

რესპუბლიკის პროკურორს ამხ. ლომიძეს წინადადება მიეცა 1953 წლის 1 იანვრამდე დაამთავროს გამოძიება სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა-დატაცების საქმეებისა, რომლებიც აღძრულია 1952 წლის 1 სექტემბრამდე. მომავალში არ დაუშვას ამ საქმეების გამოძიების კანონით დაწესებული ვადების დარღვევა, რათა გამოძიება სრული, ყოველმხრივი იყოს და ხელს უწყობდეს სასამართლოებში საქმეთა მალე გარჩევას. მუშაკები, რომლებიც აჭიანურებენ მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების საქმეთა გამოძიებასა და მასალების შემოწმებას, მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში.

გაუმჯობესდეს პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოების მუშაობა, დაევალოს მათ უზრუნველყონ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სოციალისტური საკუთრების გამფლანგველთა და დამტაცებელთა მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება. დროზე დაადონ ყადაღა დამნაშავეთა ქონებას და მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი დამნაშავეთა მიერ გადამალულ მატერიალურ ფასეულობათა აღმოსაჩენად.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს ამხ. მამალაძეს მიეთითა უზრუნველყოს, რომ სახალხო სასამართლოებმა 1952 წლის 1 დეკემბრამდე განიხილონ სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა-დატაცების ყველა საქმე, რომლებიც სასამართლო ორგანოებში მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე შევიდა, და შემდეგში არ დაუშვას ასეთ საქმეთა განხილვის გაჭიანურება.

გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა და კონტროლი სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობისადმი გაფლანგული თანხების გადახდევინების დარგში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ფურცხვანიძეს წინადადება მიეცა მიიღოს გადამწყვეტი ზომები სავაჭრო ორგანიზაციებში გაფლანგვა-დატაცების საქმეთა განხილვის გაჭიანურების აღმოსაფხვრელად, ეცადოს მიაღწიოს სასამართლოს დოკუმენტების გაფორმების ხარისხის გაუმჯობესებას, გადაჭრით იბრძოლოს ასეთ საქმეებზე ლმობიერი განაჩენებისა და განმარტებების გამოტანის წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსს ამხ. ჟღენტს წინადადება მიეცა მიიღოს ღონისძიებანი სავაჭრო ორგანიზაციების სისტემაში მექრთამეობის, გაფლანგვა-დატაცებისა და ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში მილიციის ორგანოების მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის. აღმოფხვრას საქმის გაჭიანურება ასეთი მასალების გამოძიების დროს და უზრუნველყოს საქმეთა დროზე გადაცემა პროკურატურის ორგანოებისათვის.

კოოპერაციული სახსრების გამფლანგველს, წალკის რაიონის სამომხმარებლო კავშირის ყოფილი საწყობის გამგის ნ. ჯავახიძის საქმის გამოძიების გაჭიანურებისათვის, წალკის სასოფლო კოოპერატივის ყოფილი საწყობის გამგის ვ. კაუშლიევისა და ამავე კოოპერატივის № 1 მაღაზიის გამგის გ. კალაიჩევისათვის დიდი ფულადი თანხებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა უკანონოდ ჩამოწერისათვის წალკის რაიონის პროკურორი ს. ივანოვი მოხსნილია სამუშაოდან.

კოოპერაციული საკუთრების გამფლანგველებისა და დამტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში მუშაობის ჩაშლისათვის თანამდებობიდან მოხსნილია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თბილისის ოლქის სამმართველოს მარნეულის რაიონული განყოფილების უფროსი დ. ორჯონიკიძე.

კოოპერაციული საკუთრების გამფლანგველების ქოქუაშვილისა და სპანდარაშვილის საქმის განხილვის გაჭიანურებისა და მათთვის ლმობიერი განაჩენის გამოტანისათვის სამუშაოდან მოხსნილია სიღნაღის რაიონის პირველი უბნის სახალხო მოსამართლე გ. გოძიაშვილი.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ამხ. ხანთაძეს და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. რუხაძეს წინადადება მიეცათ მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი დოკუმენტალური რევიზიების ხარისხის გაუმჯობესებისა და იმ მასალების ჯეროვნად გაფორმებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალისტური საკუთრების გამფლანგველთა და დამტაცებელთა მიცემას პასუხისგებაში და მათი საქმეების დროზე გადაცემას საგამომძიებლო ორგანოებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა სისტემატურად მოისმინონ ბიუროების სხდომებზე პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშები სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში მექრთამეობისა და გაფლანგვა-დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი მათს მუშაობაში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

18 ნოემბერს გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სამეცნიერო სესია. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 500 ლიტერატურათმცოდნე და ენათმეცნიერი. სესია შეაჯამებს საბჭოთა ფილოლოგების 35 წლის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგებს და დასახავს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის შემდგომი განვითარების გზებს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით.

სესია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ს. გ. ბარხუდაროვმა.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ლიტერატურის შთამაგონებელი და ორგანიზატორია“ გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ნ. მასლინმა. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ლ. ი. ტიმოფეევმა მოხსენება აააკეთა თემაზე — „სოციალისტური რეალიზმის სტალინური პრინციპი“. (საკდესი).

მოსკოველთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს

ლენინგრადი, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პროფკავშირთა საოლქო საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მოსკოვის მაგარ შენადნობთა კომბინატის მუშაკების სტალინური პრემიის ლაურეატების ვ. კუზნეცოვის, ნ. იაკოვლევის, კ. დმიტრიევისა და ა. ჩერნოზუბოვის ინიციატივის გავრცელების საკითხი. მათი წინადადებაა თვითეული საწარმოსათვის შედგეს წარმოების მძიმე და შრომატევადი პროცესების დარგში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა შემოქმედებითი მუშაობის გეგმები.

ძვირფას თაოსნობას მხარი დაუჭირეს კიროვის ქარხანაში, აქ მუშაობს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა 72 კომპლექსური ბრიგადა, რომლებიც წყვეტენ წარმოების სერიოზულ პრობლემებს. მიმდინარე წლის 10 თვეში განხორციელდა 1.500-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად დაიზოგა დაახლოებით 21 მილიონი მანეთი. ახლა კომპლექსური ბრიგადები შეუდგნენ შემოქმედებითი მუშაობის გეგმების შედგენას.

მოსკოვის მაგარ შენადნობთა კომბინატის ნოვატორების ინიციატივას მხარი დაუჭირეს ქარხანა „კრასნაია ხარიასა“ და ლენინგრადის მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

ფყიბულელმა ბინათმშენებლებმა უკეთესად უნდა იმუშაონ

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება მეშახტეთა ქალაქი — ტყიბული. ქალაქის ცენტრში გაშენდა მეშახტეთა ახალი უბანი, აიგო მუშათა კლუბი, ერთდღიანი სანატორიუმის შენობა, აფთიაქი, ბავშვთა დაწესებულებები, მრავალრიცხოვანი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები.

მეშახტეთა ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობა ძირითადად დაკისრებული აქვს ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს (უფროსი ვ. სანაძე).

მაგრამ ამ მნიშვნელოვან საქმეს ბინათმშენებლობის სამმართველო თავს ვერ ართმევს. მშენებლობის ახლანდელი ტემპი ვერ უზრუნველყოფს მშენებელთა წინაშე დასახული უდიდესი ამოცანის შესრულებას. ბინათმშენებლობის სამმართველომ მიმდინარე წლის პირველ სამ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 14.323 ათასი მანეთის ნაცვლად აითვისა 12.857 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 89,7 პროცენტი. ამავე პერიოდში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 7.650 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სინამდვილეში გადასცეს მხოლოდ 1.623 კვადრატული მეტრი. მშენებლობის პროცესში არსებული 26 სამშენებლო ობიექტიდან დღემდე მშენებლებმა შეძლეს მხოლოდ 7 ობიექტის დამთავრება.

დავალების შეუსრულებლობას ტყიბულშახტმშენის ტრესტისა და ბინათმშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები კვალიფიციური ხელოსნების — შემღესავების, დურგლებისა და მღებავების ნაკლებობით ხსნიან, რაც გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება. მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის „საიდუმლოება“ მდგომარეობს მშენებლობის ხელმძღვანელების მიერ ტექნიკურ შესაძლებლობათა არასაკმაო გამოყენებაში, მუშახელის დენადობაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა კვალიფიციური მშენებლებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ტყიბულშახტმშენის ტრესტისა და ბინათმშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელები სისტემატურად ფუშავენ სამშენებლო ობიექტების დამთავრებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დაწესებულ ვადებს. მაგალითად, მშენებლობის უფროსის ვ. სანაძის მიზეზით, ლენინის სახელობის შახტში მომუშავეთათვის განკუთვნილი ოთხი ორსართულიანი, რვაბინიანი სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემა სამ თვეზე მეტს გაჭიანურდა. წლების განმავლობაში შეუწყნარებლად ჭიანურდება ქალაქის ცენტრალურ უბანში ორი სამსართულიანი სექციური სახლის მშენებლობა.

ქალაქის ცენტრის ახალ ადგილზე გადატანასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება რკინიგზის ახალი სამგზავრო სადგურის მშენებლობას. ტრესტისა და ბინათმშენებლობის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ 1949 წლის დასაწყისში მეშახტეთა ქალაქის მცხოვრებლებს დაპირდნენ, რომ სადგურის მშენებლობას პირველი მაისისათვის დაამთავრებდნენ. შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი, მშენებლობას მეშახტის დღისათვის დავამთავრებთო. 1950 წელს მშენებლობის დამთავრების ვადა კვლავ პირველი მაისისათვის გადატანეს, მერე ისევ მეშახტის დღისათვის. ყველა ვადამ განვლო, მაგრამ საქმე კვლავ უძრავად არის. საინტერესო ის არის, რომ მშენებლობის ხელმძღვანელები ყოველთვის ახალ-ახალ დაპირებებს იძლევიან, შემდეგ „ობიექტურ“ მიზეზებს ასახელებენ და „თავს იმართლებენ“. ასევე შეუწყნარებლად ჭიანურდება რინტრალური მექანიკური სახელოსნოსა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობა.

სამშენებლო ობიექტების ასეთი დაკონსერვების მიზეზი ის არის, რომ აქ ყურადღება არ ექცევა შრომის სწორ ორგანიზაციას. ტექნიკური ხელმძღვანელები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ სამუშაო ადგილის წინასწარ მომზადებას, რის გამო მშენებლები მუშაობის პროცესში მთლიანად არ არიან დატვირთული. სუსტია შრომის დისციპლინა. ხშირია შემთხვევა მუშების სამუშაოზე გამოუსვლელობისა. მაგალითად, პირველ კვარტალში გაცდა 3.291 კაცდღე, მეორე კვარტალში —1.610, ხოლო მესამე კვარტალში — 1.798 კაცდღე. გაცდენა გრძელდებოდა ოქტომბერშიც.

მშენებლები სრული დატვირთვით არ იყენებენ მექანიზმებს. ორ წელზე მეტია დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სამსართულიანი სექციური სახლი მეშახტეთა ცენტრალურ უბანში. ამ ხნის განმავლობაში ამ სახლთან უქმად დგას ისეთი ძვირფასი მექანიზმი, როგორიც არის კოშკურა ამწე. მის დემონტაჟზე თავს არავინ იწუხებს. სამშენებლო ობიექტებზე ტრანსპორტის ნაკლებობას განიცდიან, მაშინ როცა ავტობაზის სიმძლავრე სანახევროდაც არ არის გამოყენებული, ხოლო ბენზინის გადახარჯვამ მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 18 ტონას გადააჭარბა.

ხშირად მშენებლობის ხელმძღვანელები თავიანთ პირად, ოჯახურ ინტერესებს მშენებლობის ინტერესებზე მაღლა აყენებენ და სამშენებლო მასალების გადასაზიდად განკუთვნილ ავტომანქანებს არადანიშნულებისამებრ, პირადი გამორჩენის მიზნით ამუშავებენ. მოვიყვანთ ფაქტს: ოქტომბრის პირველ რიცხვებში, მაშინ როცა მშენებლობა ავტომანქანების ნაკლებობას განიცდიდა, ტყიბულშახტმშენის ტრესტის მმართველის მოადგილემ მატერიალური უზრუნველყოფის დარგში ე. კვინიკაძემ ორი სატვირთო მანქანა ჩრდილოეთ კავკასიაში წაიყვანა პირადი მოხმარების პროდუქტების შესასყიდად.

მექანიზმებისა და დანადგარების არასწორი გამოყენებითაც უნდა აიხსნას ის, რომ მიმდინარე წელს ტყიბულშახტმშენის ტრესტმა და მისმა სამშენებლო სამმართველოებმა მილიონ მანეთზე მეტი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

ტრესტის მშენებლობებზე განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა. ამას აქ იმით ხსნიან, თითქოს მშენებლები მოკლებული იყვნენ მაღალხარისხოვან საშენ მასალებს—სილას, ქვას, აგურს. ეს მართლაც ასეა. მაგრამ ამაში დამნაშავე არიან მხოლოდ ტრესტი და საქმეხტმშენის სამმართველო, რომლებიც საჭირო ზომებს არ იღებენ ადგილობრივი საშენი მასალების წარმოების გასაფართოებლად. რამდენიმე წელია ჭიანურდება მუხურის საუკეთესო სამშენებლო ქვის კარიერის მოწყობა. ასევე მოუწესრიგებელია ნაჭერალას მთის სამხრეთ კალთაზე სილის კარიერის დამუშავება. ახლადაგებული აგურის დამამზადებელი ქარხანა ჯერ კიდევ სრული სიმძლავრით არ არის ათვისებული. მთელ რიგ ტექნოლოგიურ პროცესებს ამ ქარხანაში ხელით ასრულებენ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

ტყიბულშახტმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოში ბევრი შესანიშნავი მშენებელი—სტახანოველია, რომლებიც საუკეთესოდ არიან დაუფლებული თავიანთ საქმეს. მაგალითად, მშენებელი ხ. პასკალი, დურგლები შ. კობერიძე, რ. მხეიძე, შემლესავი ი. ჩეპუნოვი და სხვები საწარმოო დავალებებს დიდი დადასტურებით ასრულებენ. მიუხედავად ამისა, სტახანოველთა რიგები აქ ნელა იზრდება. ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ ტრესტისა და მისი სამმართველოს ხელმძღვანელები ნაკლებად არიან დაინტერესებული შრომის ორგანიზაციის უკეთ მოწყობით, მოწინავეთა მუშაობის მეთოდების პოპულარიზაციით. ნაკლები ყურადღება ექცევა მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების სახელგანთქმულ მშენებელთა გამოცდილების გამოყენებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ უდიდესი ამოცანები დასახა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ტყიბულელი ბინათმშენებლების მოვალეობაა გამოასწორონ ჩამორჩენა, ჩადგნენ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

ვ. ციხელაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოსკოვის ამბები

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის ქუჩების რეკონსტრუქცია

რეკონსტრუქციის შედეგად მოსკოვის მრავალმა ქუჩამ იცვალა სახე ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. ერთ-ერთ მავსტრალზე — ლენინის ქუჩაზე წელს პირველად მთელ მოსკოვში მოახდინეს ქუჩის ზედაპირის დაფარვა ცემენტ-ბეტონით. ლენინისა და შჩერბაკოვის რაიონებში გაყვანილია ორი ახალი ქუჩა.

უკვე მოთავდა ულიანოვკის, ბოლშაია პოლიანას, შკოლნაიას და მთელი რიგი სხვა ქუჩების რეკონსტრუქცია. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პერვომაისკაიას და კრასნოკაზარმენაიას ქუჩების რეკონსტრუქცია. ამ ქუჩებზე გაიყვანეს ტრამვაის ახალი ხაზები და გახსნეს ტრამვაის მატარებლების მოძრაობა.

ინდივიდუალური სახლები მოსკოვის მახლობლად

სულ უფრო ფართოვდება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა მოსკოვის ოლქში. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოსკოვის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა ააგეს ხუთი ათასზე მეტი კეთილმოწყობილი სახლი. მათ დიდ დახმარებას უწევს სახელმწიფო.

მიმდინარე წელს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილია 40 მილიონამდე მანეთი.

ხარატ ს. გუშუევის რეკორდი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის მზადების დღეები ახალი შესანიშნავი რეკორდის დამყარებით აღნიშნა სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის ჩქაროსანმა ხარატმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა სერგი გუშუევმა.

ამას წინათ მან კერამიკულ საჭრისთა ფირფიტებით თავის ჩარხზე ლითონის ჭრისას მიაღწია წუთში 3.410 მეტრ სიჩქარეს.

ლექციები ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში

ჟურნალისტის ცენტრალური სახლი აწყობს ლექციების ციკლს ენათმეცნიერების საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი ლექცია — „ი. ბ. სტალინი ლექსიკური შემადგენლობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის შესახებ“—წაკითხულ იქნა რამდენიმე დღის წინათ. ამ ლექციას 200-ზე მეტი მოსკოველი ჟურნალისტი დაესწრო.

სულ განზრახულია 15 ლექციის გამართვა. მათ შორის არის ასეთი თემებიც: „პუშკინი—რუსული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი“, „დიადი რუსული ენა“, „გორკი რუსული ლიტერატურული ენის შესახებ“ და ა. შ.

კინოფილმი „დაზოგილი მილიონები“

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს დაკვეთით ლენინგრადის კინოქრონიკის სტუდიამ ახლახან გამოუშვა სამეცნიერო-ტექნიკური ფილმი „დაზოგილი მილიონები“. ფილმი მოგვითხრობს საცხებ-საპოხი ზეთების მომჭირნეობით ხარჯვის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

მკაფიოდ და საინტერესოდ არის ნაჩვენები სხვადასხვა სარეგენერაციო დანადგართა მუშაობა. მაყურებელი ეკრანზე ხედავს სხვადასხვა აპარატურის მუშაობას, საავტომობილო და სატრაქტორო ძრავებზე საპოხი ზეთის ხარჯვის პროცესებს და ამავე დროს ძრავების მოქმედების სქემას.

ტექნიკურად ფილმი შესანიშნავად არის გაკეთებული.

აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ახალი საწარმოო კორპუსი

ერთიანი ფრონტი ბოლშევიზმისთვის

თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკას ამას წინათ შეემატა ახალი გამომყვანი კორპუსი. იგი აერთიანებს სამღებრო, საჩითავ და გამომყვან საამქროებს, რომლებიც აღჭურვილი არიან პირველხარისხოვანი მოწყობილობით.

გაუმჯობესებული მოწყობილობით მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა აბრეშუმის ქსოვილების გამოყვანის ხარისხის თვალსაჩინოდ გაუმჯობესება, მათი ასორტიმენტის გაფართოება და ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრის გადიდება.

ამ კორპუსის სამღებრო საამქროში დადგმულია უჟანგავი თუნუქისაგან დამზადებული ახალი ტიპის დახურული ბარკები. ამ ბარკებში ქსოვილის ღებვა საგრძნობლად გაუმჯობესებს ხარისხს და ამასთანავე ორთქლის ეკონომიას მოგვცემს. აქვე დადგმულია სამი ახალი სახარში მანქანა, ე. წ. ჯიგერები. ამ მანქანებში ქსოვილი იღებება თანაბრად გაშლილი, რაც შესამჩნევად ამაღლებს ქსოვილის ხარისხს. აქვეა შეღებილი ქსოვილის გასაწური მანქანა, რომელიც წარმოებს ქსოვილის გაშლილი გაწურვა.

ახლა ითვისებენ და მალე აამუშავებენ მზა ქსოვილის მექანიკურ საკეც მანქანას, რომელიც, გარდა იმისა, რომ გაათავისუფლებს მუშახელს, ამასთან მზა ქსოვილს დაკეცავს უწუნოდ, სტანდარტულად. გამომყვან საამქროში დადგმულია მისაქსელის გამასწორებელი და განის მიმცემი ახალი აგრეგატი, მზა ქსოვილის გამომყვანი ახალი მანქანა და სხვა მოწყობილობა. მანქანების სრული წარმადობა ცვლაში 10.000 მეტრია.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი და საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში აქ დადგეს და აამუშავეს მექანიკური საბეჭდი მანქანა, რომელიც საათში 1.000 მეტრ ქსოვილს ატარებს.

წელს მოსამზადებელ საამქროში დაიდგა აგრეთვე ახალი ავტომატური სწრაფმოქმედი საქსელე მანქანა. იგი წუთში 160 მეტრ ქსელს ქსელავს.

ფაბრიკის კოლექტივი ემზადება საწარმოს შემდგომი გაფართოებისათვის, რაც მომავალ წელს შესრულდება. ძველი დაზგები ახალი, გაუმჯობესებული დაზგებით და აგრეგატებით შეიცვლება, დაიდგმება მეორე ახალი ტიპის საბეჭდი მანქანა, მრავალი ახალი ჩქაროსნული აბრეშუმსაქსოვი დაზგა. მნიშვნელოვნად შეივსება გაუმჯობესებული დაზგებით და მანქანებით ახალი გამომყვანი საწარმოც. ყოველივე ამის შედეგად ფაბრიკის კოლექტივი მომავალი წლიდან გაცილებით მეტ აბრეშუმის ქსოვილს მისცემს სამშობლოს, ვიდრე ამჟამად.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს ახალ საწარმოო კორპუსში სამღებრო საამქროს გადასვლა, რაც 15 სექტემბრამდე უნდა დაემთავრებინათ. ახალი კორპუსის ორ საამქროში ჯერ კიდევ მოუწყობელია ვენტილაცია, მოწყობილი არ არის აგრეთვე ლიფტი.

საჭიროა ახალი კორპუსის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს დროზე დამთავრება, რათა ფაბრიკის კოლექტივმა შეძლოს მეხუთე ხუთწლედის მის წინაშე დასახული ამოცანის სასახელოდ შესრულება.

ლ. სარჯველაძე.

ყინულის სამეფოში

ყაზბეგი. (ს.კ. კორ.). კავკასიონის თოვლიან მთებში, ზღვის დონიდან 3.356 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური. უაღრესად ძნელი კლიმატური პირობებია აქ ადამიანის ხანგრძლივად ყოფნისათვის. როცა ბარში მზე აცხუნებს, სადგურის მიდამოებში ხშირად ქარიშხალი მძვინვარებს. არის ისეთი დღეები, როცა სადგურის მუშაკები სხვადასხვა დაკვირვებათა საწარმოებლად შენობიდან თოკმობმული გამოდიან, რათა ძლიერმა ქარმა ნაპრალებში არ გადაჩეხოს. თითქმის 6 თვის განმავლობაში ეს ადგილი მოწყვეტილია სამყაროს.

მარადიული ყინულითა და თოვლით დაფარულ მთებში გულმოდგინედ მუშაობს ქართველ მეტეოროლოგთა პატარა კოლექტივი. მას ხელმძღვანელობს კომუნისტი ამხ. ვ. სუჯაშვილი, რომელიც 8 წელიწადია აქ მუშაობს. აქ არიან ტექნიკოს-მეტეოროლოგი გ. სუჯაშვილი, რადისტი-დამკვირვებლები შ. სუჯაშვილი და ტ. შაბანოვი, დამკვირვებლები ს. ხუციშვილი, უფროსი აეროლოგი ვ. სუჯაშვილი და დამხმარე მუშა ვ. წიკლაური.

მეტეოროლოგებისათვის აქ აგებულია შესანიშნავი საცხოვრებელი სახლი. იგი ორსართულიანია, აგებულია რკინაბეტონით, შენობის 24 ოთახში განლაგებულია მოზამთრეთა სამუშაო და საცხოვრებელი ოთახები. აქ არის აგრეთვე ბიბლიოთეკა, სამზარეული, ქარის ელექტროსადგური.

დიდი სიხარულით შეხვდნენ სადგურის მუშაკები მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ სიტყვას. ისინი ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან სხვა მეტეოროლოგიური სადგურების კოლექტივებთან და წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

სადგური მზად არის ზამთრისათვის. მთაში აზიდულია 100 კუბმეტრი შეშა, ნავთი, საკვები პროდუქტები და სხვა საჭირო ნივთები და ხელსაწყოები.

საღამოობით, როცა მთებში სიბნელე ჩამოწვება, მოზამთრეები თავს იყრიან ელექტროშუქით განათებულ ბიბლიოთეკაში და ყურადღებით უსმენენ აგიტატორ ვ. სუჯაშვილის მორიგ საუბარს ყრილობის მასალებზე, ჩვენი დიდი სამშობლოს ახალ წარმატებებზე.

ლენინ—სტალინის პარტიისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით შრომობენ და ცხოვრობენ ქართველი მეტეოროლოგები.

ახალგაზრდა პოეტების ლექსები

ახალ-ახალი ნაკადი მოდის ქართულ საბჭოთა პოეზიაში...

ახლახან გამოვიდა პოეტ შალვა ფორჩხიძის ლექსების წიგნი „ჩემო ქვეყანავ“. წიგნი გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“, და უნდა ითქვას: ლამაზად, გემოვნებით.

შ. ფორჩხიძე თავის პირველ სიტყვას ხალხთა დიდ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს მიუძღვნის. ეს სიტყვა გულწრფელია და ამაღლებელი!

„ჩუქურთმის ოსტატში“ დიდი პოეტური ალმაფრენით არის დახატული დაუცხრომელი შრომა საბჭოთა ადამიანისა, რომელსაც „უნდა ქვა აამღეროს“. ჩვენ ნათლად ვხედავთ შრომის ამ წარმტაც პროცესს:

ჭრიან წერაქვით, მდუმარე ლოდებს
მაღალი სახლის კედელი ელის,
შვენით ჩუქურთმა და ქვები გრძნობენ,
როგორ აცოცხლებთ ოსტატის ხელი.
გადააცალეს გულმკერდზე ხავსი,
ქვებს ადარ ფარავს ჯაღნი და ნისლი,
სიხარულის და სიმღერის მსგავსი
შორს წერაქვების წკრიალი ისმის.

ლექსები: „აი, მანგლისი“, „უნივერსიტეტის ეზოში“, „ქართული პური“, „ქედს გედგა ძელქვის ულელი“, „გაზაფხულის დილა“, — ნათლად ლაპარაკობენ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითს შესაძლებლობაზე.

ციკლში „ოცნება ახალ სამგორზე“ რამდენიმე კარგი ლექსია შესული. მაგრამ საკმაოდ უცნაურად აქვს წარმოდგენილი პოეტს სამგორის მომავალი:

ირგვლივ შრიალებს მუხნარი
ივრის ტალღების ეშხით,
ჩალურჯებულ ულრანი,
ტახი რკოსა კვნეტს ტყეში.
არხისპირ გადაძვრები
შამბი დგას ლილისფერი...

ამ ჩალურჯებულ ულრანს მიუმატეთ „ჭალებში კაკების კაკანი“ და ხოხბებზე მიშვებული მიმინო (ამ ფრინველს ხშირად ახსენებს პოეტი!) და თქვენ წარმოგიდგებათ იდილიური სურათი, ძველი მონადირის ოცნებაში დახატული. ცხადია, ამ სურათს საერთო არაფერი აქვს ახალ, სოციალისტურ სამგორთან.

ზოგჯერ შ. ფორჩხიძის ლექსი დუნეა და უსიცოცხლო. პოეტი გადაჭარბებულ დაუდევრობას იჩენს რითმების შერჩევაშიც. იგი ხშირად ხმარობს ასეთ რითმებს: „დაენამა—ქვეყანა“, „დიდებით—აღმობრწყინების“, „შფოთი — საქართველოში“, „გადიდებენ —ისმენენ“, „ლანქერად — სიმღერა“, „მეკვლე — ველებს“, „ედება — შემოვარდება“, „ლოდებს — ბოლოებს“ და ასე შემდეგ.

წიგნის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია მისი თემატიკური ერთფეროვნება. ახალგაზრდა პოეტს ვერ მოვუწონებთ ასეთ ქართულსაც: „წყალს მიჰქონდა მტერთა ცხედარი“, „მიყვარს მტკვარის დუდუნი ვრცელი“, „უთვალავი ყამთა ზარით“, „იფრქვევა სხივი, ცად დარწეული“...

სუხუმში გამოიცა შოთა აკობიას ლექსების წიგნი—„სამშობლოს დილა“. ამ წიგნით მკითხველმა გაიცნო თბილი, ლირიკული ხმის პოეტი.

უბრალოდ, დიდი უშუალობით არის დაწერილი ლექსი „ბერიას წიგნი“:

დღე დღევანდელი ვინც დაამშვენა,
ვინც მშვენებაა მომავალ დღეთა,
ხალხს გამარჯვების გზა ვინც აჩვენა
და წინ წარუძღვა ლენინთან ერთად,
ვინც დროშა გახდა ძლევის და წინსვლის,
დროშა ოქტომბრის, დროშა თებერვლის,
მასზე მეტყველებს ეს დიდი წიგნი, —
მეგობარი და შთამგონებელი!

„მოჭრილ ფიჭვში“ შ. აკობია ხატავს მთებზე შეფენილ ზვიად ტყეს, სადაც ასწლოვანი ფიჭვები დგანან. დილაა. ბირდაბირებით მოსული ადამიანები ჭრიან უზარმაზარ ხეებს —

იტყვის ფიჭვის ხე ვეება,
როდესაც წაბარბაცდება:
„ზრდას საუკუნე მოვუნდი,
წუთიც კი ეყო დაეემას...
ვინატრებ, გავხდე ფურცელი
თვითონ ბელადის წიგნების,
მისი სინათლით მოსილი
კვლავ მთებში ამოვბრწყინდები,
ერთი სიცოცხლის დაკარგვით
მარად ცოცხალი ვიქნები“.

მკითხველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ ლექსები „მონადირის სიყვარული“, „დილა ყანაში“, „ჩემი სოფლის ერთი შუკა“, „ტყისმჭრელი“, „სამი ლექსი უტუ მიქავაზე“.

„სამშობლოს დილაში“ მოთავსებული საუკეთესო პოეტური ნაწარმოებნი უფლებას გვაძლევენ, რომ მათ ავტორს სერიოზული მოთხოვნები წავუყენოთ.

ცნობილია, თუ როგორ იცვალა სახე უკანასკნელი წლების მანძილზე სუხუმმა. ამჟამად იგი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილი ქალაქია. ბუნებრივია, რომ პოეტი ამაყობს მშობლიური ქალაქით, თანამემამულეთა შესანიშნავი შრომითი გამარჯვებებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დამსახურებული სიამაყე ღირსეული პოეტური ფერებით არ არის გადმოცემული წიგნში შესულ ციკლში—„საქართველოს ზღვისპირეთი“. ბევრს არაფერს გვეუბნებიან, მაგალითად, ასეთი სტრიქონები:

ნათურებს ვხედავ ხეებზე მაღლა,
როგორც მშვიდობის უთვალავ მტრედებს,
და ასე ამბობს შავი ზღვის ტალღაც, —
ახალ სუხუმზე მეც შემახედეთ!

ადვილია თქვა: ახალი სუხუმიო, მთავარი და აუცილებელია დახატო მისი ნათელი პოეტური სურათი.

შ. აკობიას წიგნში მოთავსებულია ისეთი ლექსები („ბაზრობა თბილისში“, „გურამიშვილის ანდერძი“, „სამშობლო“, „სიმღერა მშვიდობაზე“...), რომელთა ამოღებით მოიგებდა წიგნიც და ავტორიც, ხოლო მკითხველი უფრო კმაყოფილი დარჩებოდა.

გიორგი სალუქვაძის წიგნში „ჩემი ქალაქი“ (აჭარის სახელგამი, 1951 წ.) მოთავსებული რამდენიმე ლექსი დაწერილია კონკრეტულ თემებზე, ცოცხლად და მიმზიდველად.

როგორც ჩანს, პოეტი მთელი თავისი შესაძლებლობის გამოყენებით არ მუშაობს ყოველი ნაწარმოების სრულყოფისათვის. ეს ჩანს თუნდაც პირველივე ლექსიდან, რომლითაც იხსნება წიგნი:

რიერაკის კარგაღებულო,
ფორთოხლის ბაღო მზიანო,
გაშლილო, გალაღებულო,
ლალ-ზურმუხტ-ფირუზიანო.

ამავე ლექსის დასასრულ პოეტი მშობლიურ ქალაქს მიმართავს: ეს ლექსიც შენით ელვარებსო.

სცდება ავტორი: არაფერით არ ელვარებს აღნიშნული ლექსი, არც კარგი ქართულით, არც თემის ორიგინალური გადაწყვეტით, არც ახალი და ნათელი სახეებით...

გ. სალუქვაძის კარგ ლექსში „დურგალი“ დისონანსი შეაქვს ასეთ სტრიქონებს: „არტელის თავმჯდომარესთან რა უნდა მქონდეს სამალი (?), ყურში ამბავი ჩამესმა, ჩემი წადილის წამალი“.

სინანულით უნდა აღვნიშნოთ: გ. სალუქვაძისათვის წიგნი „ჩემი ქალაქი“ არ წარმოადგენს შემოქმედებითი ზრდის მაჩვენებელს. ამას ნიჭიერი პოეტი სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს.

მიხეილ ქვლივიძემ თავისი პირველი წიგნის გამოცემამდე ჩვენს პერიოდულ პრესაში რამდენიმე შშვენიერი ლექსი გამოაქვეყნა.

მოწონებას იმსახურებენ მ. ქვლივიძის ლექსები: „ჩვენ დავიბადეთ“, „სამგორი“, „რუსთავი“, „თეთრი ღამე“, „მშვიდობის დასაცავად“. მათ ავტორს გააჩნია მახვილი თვალი, ეხერხება პოეტური ხატვა, აქვს სიახლის გრძნობაც.

ქართველმა პოეტებმა მრავალი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნეს კაცობრიობის დიდ ბელადს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. მათ შორის თავისი პოეტური გააზრებით უთუოდ განირჩევა ქვლივიძის ლექსი:

ჩვენ დავიბადეთ ამ ნათელ ღამით,
როდესაც მიწა შეიძრა წამით
და როცა ატყდა ბალტიის მხრიდან —
გრიგალი — ქვეყნის ხსნად მოვლენილი,
მაშინ ნევაზე „ავრორა“ იდგა
და ტრიბუნაზე — დიდი ლენინი.
ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი...
ლენინი იდგა გაწვდილი ხელით,
მან მომავალი ხალხებს ახარა,
მან მოაბრუნა მზისკენ გულები,
მას შემდეგ მიწაც ბრუნავს სხვაგვარად
ლენინის ხელის მიმართულებით!

მიხეილ ქვლივიძის ლექსების კრებულში მოთავსებულია ზოგიერთი სუსტი ლექსი. ეს ლექსები არაფერს ახალს არ ამბობენ. ვის ააღელვებს ამგვარი პროზაული სტრიქონები:

ბედნიერი ვარ — ღირსი გამხადე
შენი მშვენება მენახა სრული,
შენი ქუჩები კალმით ნახატი
და ბრინჯაოდან მეტყველი სული.

დასრულებულ პოეტურ ნაწარმოებს არაფრით არა ჰგავს ეს ლექსიც:

„კარგია სუნთქავდე, მთის მაღალ ჰაერით,
ვარდების გზიბლავდეს სურნელი და ფერი,
ლექსების წერას ხომ არ სჯობს არაფერი...

სხვაგან ახალგაზრდა პოეტს განუზრახავს წარჩინებული კოლმეურნის სახე დაეხატა. განზრახვა, რა თქმა უნდა, ჩინებულია, მაგრამ... აი, მოვუსმინოთ ავტორს:

დაბრუნდი, ოჯახს გაუძეღ,
არ დააკელი სურსათი.
შრომაშიც კარგი გამოდექ,
განა, რა გასაკვირია, —
სოფელში შენზე ამბობენ,
„პირველი ბრიგადირია“.

მ. ქვლივიძეს თავის წიგნში არ უნდა შეეტანა ასეთი და მსგავსი დაუმუშავებელი ნაწარმოებნი.

სამწუხაროდ, ჩვენში არიან დამწყები ავტორები, რომლებიც იოლი გზით აპირებენ შესვლას ლიტერატურაში. მათ ავიწყდებათ, რომ სტრიქონების შერითმვა, — ხანდახან მოხერხებულადაც შერითმვა, არ არის პოეზია. ამ ავტორებს ავიწყდებათ ელემენტარული ჭეშმარიტება, რაც ასე უბრალოდ და მკაფიოდ გამოხატა გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა მიხეილ ისაკოვსკიმ: „ფლობდე პოეტურ „საიდუმლოებას“ — ეს უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იყო **დამოუკიდებელი** შემოქმედებაში, ესე იგი ილაპარაკო ისე, როგორც დამახასიათებელია **მხოლოდ შენთვის,** და არა სხვა ვინმესთვის, ილაპარაკო იმაზე, რის შესახებაც შეგიძლია თქვა მხოლოდ შენ, იმიტომ რომ თვითონ შენ დაინახე იგი ცხოვრებაში, თვითონ გაიაზრე, განიცადე, გაიგე, გააკეთე დასკვნები...“

ამ დამოუკიდებელი, საკუთარი ხმის უქონლობის, სხვათა გადამღერებისა და მიბაძვის საშიშროება განსაკუთრებით საგრძნობია დამწყები ავტორების — ა. ბეგაშვილის, ო. კუპრავას და სხვათა ლექსებში. ამ ავტორთა შემოქმედებითი წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მალე განთავისუფლდებიან ისინი ამ საშიშროებისაგან.

რამდენიმე სიტყვა ახალგაზრდა პოეტების წიგნების რედაქტირების საკითხზე. რედაქტორებად უნდა შეირჩეს ამ საქმის მოყვარული, მაღალი გემოვნების მქონე, მომთხოვნელი ამხანაგები. ისინი უნდა დაეხმარონ ავტორებს თავიანთ ნაწარმოებთა სრულყოფაში. ზოგიერთი რედაქტორი კი ხანდახან ხელს უწყობს მოუმწიფებელი ნაწარმოების გამოქვეყნებას.

ახალგაზრდა პოეტებს საკმაო ყურადღებას არ აქცევს ლიტერატურული კრიტიკა. სამაგიეროდ მათ ზოგჯერ ჭკუას ასწავლიან ისეთი მოხალისეები, რომლებსაც ლიტერატურაზე მხოლოდ დაახლოებითი წარმოდგენა აქვთ. საჭირო კი არის, რომ ჩვენმა საუკეთესო კრიტიკოსებმა და მოწინავე მწერლებმა პირუთვნელი, მართალი შეფასება მისცენ ახალგაზრდა ლიტერატორთა ნაწარმოებებს.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გაკეთებულ მოხსენებაში, რომელიც პარტიის XIX ყრილობის შედეგებს მიეძღვნა, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს ფართო ადგილი დაუთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. მგელაძემ. მან მიგვითითა: „ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა შემოქმედებითი კადრების დაწინაურებას და აღზრდას. ამ საქმეს ჩვენ უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ“.

ეს სიტყვები აძლიერებენ ახალგაზრდა მწერლების მოვალეობას და პასუხისმგებლობას. ამ დიდ მზრუნველობას და გულისხმიერებას მათ უნდა უპასუხონ დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით, ლიტერატურული ოსტატობის მკვეთრი ამაღლებით, საკუთარი შემოქმედებისადმი მკაცრი პროფესიული მომთხოვნელობის გამომუშავებით.

მხოლოდ ამის შედეგად შეძლებენ ისინი შექმნან იდეურად და მხატვრულად სრულფასოვანი ნაწარმოებნი, რომელთაც მაღალგემო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-4 კომიტეტში

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საკდესი). მეოთხე კომიტეტი, რომელიც მუშაობს არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების საკითხებზე, უკანასკნელ სხდომებზე განიხილავდა საკითხს იმ ნიშნების განსაზღვრის შესახებ, რომლებითაც განირჩევა ქვეყანა, რომელმაც თვითმმართველობა მიიღო, არათვითმმართველი ტერიტორიებისაგან, რომლებსაც კოლონიური სახელმწიფოები მართავენ. ეს საკითხი წამოიჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ დროს კოლონიური სახელმწიფოები თავიანთ კოლონიებს ფიქტიურად ანიჭებენ „თვითმმართველობას“, და ამით ჩქმალავენ ძარცვისა და ძალადობის პოლიტიკას, რასაც კოლონიური ხელისუფალნი არა თვითმმართველ ტერიტორიებზე ახორციელებენ.

იმ საბაბით, რომ მთელმა რიგმა არათვითმმართველმა ტერიტორიებმა თითქოს უკვე მიიღეს თვითმმართველობის ყველა უფლება, კოლონიურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, შეწყვიტეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ სტატისტიკური ცნობებისა და სხვა საინფორმაციო მასალების წარდგენა, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება მოითხოვს და რომლებიც გვიჩვენებენ ამ არათვითმმართველი ტერიტორიების მოსახლეობის ცხოვრების პირობებს.

ამასთან დაკავშირებით გენერალური ასამბლეის XI სესიამ მიანდო სპეციალურ კომიტეტს შეემუშავებინა იმ ნიშნების ნუსხა, რომლებიც განსაზღვრავენ, მოიპოვეს თუ არა რომელმე არათვითმმართველი ტერიტორიის ხალხებმა სრული თვითმმართველობა. სპეციალურმა კომიტეტმა მეოთხე კომიტეტს განსახილველად წარუდგინა თავისი მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმ საკითხის გადასაჭრელად, მოიპოვა თუ არა ამა თუ იმ ხალხმა სრული თვითმმართველობა, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, მიენიჭა თუ არა მას სრული პასუხისმგებლობა საერთაშორისო ურთიერთობაში, უფლება — დაამყაროს უშუალო ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უფლება — დადოს, ხელი მოაწეროს და დაამტკიცოს საერთაშორისო აქტები, თავისუფლება—აირჩიოს მმართველობის სისტემა, სხვა სახელმწიფოს თვითსაბის კონტროლისა თუ ჩარევისაგან თავისუფლება და სხვ.

ექვსი ქვეყნის — ბირმის, ვენესუელის, გვატემალის, ეგვიპტის, ერაყისა და კუბის წარმომადგენლებმა მეოთხე კომიტეტის განსახილველად შეიტანეს რეზოლუციის პროექტი, რათა დამტკიცებულ იქნას ეს „ფაქტორების ნუსხა, რომელიც შეიძლება სახელმძღვანელო გახდეს“ გენერალური ასამბლეისა და კოლონიური სახელმწიფოებისათვის „იმ საკითხის გადაჭრისას, მიაღწია თუ არა ამა თუ იმ ტერიტორიამ სრულ თვითმმართველობას“.

კოლონიური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შეერთებული შტატების მეთაურობით გაილაშქრეს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ. ამასთან შეერთებული შტატების დელეგატმა თავხედურად განაცხადა, რომ კოლონიურ სახელმწიფოებს შეუძლიათ გადაჭრან საკითხი, მოიპოვა თუ არა არათვითმმართველმა ტერიტორიამ „სრული თვითმმართველობა“. იგი იცავდა კოლონიურ სახელმწიფოთა „უფლებას“—კოლონიები შეუერთონ თავიანთ ტერიტორიას როგორც პროვინციები. ინგლისის, საფრანგეთისა და ბელგიის დელეგატები ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის საბუთებს და ერთხმად აცხადებდნენ, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა ამ სფეროში“ კოლონიურ სახელმწიფოთა „საშინაო საქმეებში ჩარევა იქნება“. დანიის წარმომადგენელმა, რომელიც იცავდა კოლონიურ სახელმწიფოთა „უფლებას“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არ წარადგინონ ინფორმაცია არათვითმმართველი ტერიტორიების შესახებ, განაცხადა, რომ მისი თავისრობა აპირებს გრენლანდიის ტერიტორია შეუერთოს დანიას, როგორც „განუყოფელი ნაწილი“.

ცნობილია, რომ გრენლანდია დანიის მთავრობის თანხმობით გადაქცეულია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად და, ამრიგად, გასაგებია, თუ რატომ ესოდენ მტკიცედ ამბობენ უარს დანიის მმართველი წრეები ამ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესახებ რაიმე ინფორმაცია წარადგინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური აღმოსავლეთ ჩინეთში

შანხაი, 19 ნოემბერი. (საკდესი). უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური აღმოსავლეთ ჩინეთის ქალაქებსა და სოფლებში, ყველგან ეწყობა მიტინგები, კრებები, სახალხო სეირნობა.

გაზეთი „ძეფანეიბაო“ იუწყება, რომ ანხუეის პროვინციის მარტო 29 მაზრაში ერთთვიურისადმი მიძღვნილ კრებებსა და მიტინგებს დაესწრო 350 ათასამდე კაცი. ხაინინის მაზრაში კრებები ყოველ სოფელში გაიმართა.

ძიანსუს პროვინციაში და ქალაქ ნანკინში ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მსვლელობაში ჩინელი და საბჭოთა ხალხების ერთიანობის განმტკიცების შესახებ მოხსენებებს კითხულობენ და საუბრებს აწყობენ 6 ათასზე მეტი ლექტორი და 280 ათასზე მეტი აგიტატორი.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა საწარმოო წარმატებანი

პრაღა, 19 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს.

ყოველდღე რესპუბლიკის ბევრი საწარმო უპატაკებს ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის შესრულებას. მაგალითად, 18 ნოემბრისათვის პრაღის ოლქის ასზე მეტმა საწარმომ შეასრულა თავისი წლიური პროგრამა. 17 ნოემბრისთვის ბანსკა-ბისტრიცის ოლქის 62 საწარმომ გადამდე შეასრულა წლიური გეგმა.

მასობრივი შეჯიბრება რუმინეთში წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

ბუქარესტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). რუმინეთის მრეწველობაში და ტრანსპორტზე ფართოვდება შეჯიბრება წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრების მსვლელობაში ათიათასობით მუშა ეუფლება შრომის მოწინავე საბჭოთა მეთოდებს, იმაღლებს კვალიფიკაციას და ამ საფუძველზე საწარმოო წარმატებებს აღწევს.

მიმდინარე წლის გეგმა შეასრულეს ბუქარესტის 43 ფაბრიკისა და ქარხნის კოლექტივებმა.

მომავალი წლის ანგარიშში პროდუქციას უშვებენ პლოეშტის ოლქის 30 სამრეწველო საწარმოს კოლექტივები. შრომის საბჭოთა მეთოდების გამოყენების მეოხებით პლოეშტელმა მუშებმა წელს დაზოგეს 42 მილიონი ლეი მასალები, ე. ი. 19 მილიონი ლეით მეტი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

წლიური პროგრამის შესრულების შესახებ პარტიასა და მთავრობას უპატაკეს 500-ზე მეტი ფაბრიკა-ქარხნის, ქვანახშირის შახტის, ნავთდამუშავებისა და რუმინეთის სხვა სამრეწველო ობიექტების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 19 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ, მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, ეროვნულმა კრებამ 467 ხმით 147 ხმის წინააღმდეგ კვლავ უარი განაცხადა განეხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს 1953 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობამ შეადგინა. გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ ეს უარი პინეს მთავრობის „ახალი დამარცხებაა“.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 19 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 19 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

გაბვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ფრონტის ცალკეულ უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 5 და დააზიანეს 8 თვითმფრინავი.

გამალებული შეიარაღების შედეგები

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ საფეიერო მანქანათმშენებლობის ინგლისურმა ფირმამ „პლეტ ბრაზერს ენდ კომპანიმ“ განაცხადა, რომ მან დახურა ერთ-ერთი თავისი ქარხანა ოლდჰემში (ლანკაშირი) დაკვეთების უქონლობის გამო.

კვირის დამლევს გამართულ თათბირზე ამ ფირმის კუთვნილი ყველა ქარხნის საამქროს მმასახლისებმა პროტესტი განაცხადეს ქარხნის დახურვის წინააღმდეგ. გადაწყვეტილია დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობას და მოითხოვონ, რომ მთავრობამ მიაღწიოს საერთაშორისო ვაჭრობაში შეზღუდვათა გაუქმებას.

„საამქროს მმასახლისები, — წერს გაზეთი „დეილი უორკერი“,—აღშფოთებული არიან მთავრობის პოზიციით ჩინეთთან ვაჭრობის შეზღუდვის საკითხში, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ეს ქვეყანა დაინტერესებულია დიდი რაოდენობით მიიღოს საფეიერო-სამანქანო მოწყობილობა ინგლისიდან“.

სიძვირის ზრდა ინგლისში

ლონდონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). 18 ნოემბერს თემთა პალატაში გამოაცხადეს რკინიგზითა და ავტოსაგზაო ტრანსპორტით ტვირთის ვადაზიდვის ფასების ახალი გადიდება. ამასთან დაკავშირებით გაზეთები წინასწარმეტყველებენ ქვანახშირისა და ფოლადის ფასების გადიდებას.

რკინიგზებითა და არხებით ტვირთის გადაზიდვის ფასები, აგრეთვე სანავსადგურო გადასახდელები 1 დეკემბრიდან 5 პროცენტით გადიდდება, რაც ფულადი გამოხატულებით 12 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

გირვანქა სტერლინგის მყიდველობითი უნარის დაცემა

ლონდონი, 19 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გუშინ თემთა პალატაში ფინანსთა მინისტრმა ბატლერმა განაცხადა, თუ ჩავთვლით, რომ 1939 წელს გირვანქა სტერლინგის ღირებულება საშუალოდ 20 შილინგს უდრიდა, 1951 წლის ოქტომბერში მისი მყიდველობითი უნარი 9 შილინგამდე და 7 პენსამდე შემცირდა, ხოლო 1952 წლის ოქტომბერში—9 შილინგამდე.

ამერიკელების მიერ ოკუპირებულ სეულში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი მაკგრეგორი სეულიდან იუწყება, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები სურსათის საკითხებზე“ წინასწარმეტყველებენ, რომ „ამ ზამთარს სეულის რაიონის მოსახლეობაში კორეის ომის დაწყების დროიდან სურსათის ყველაზე მწვავე ნაკლებობა იქნება“.

აღნიშნავენ რა სურსათის მიწოდების შემცირებას, თანამდებობის პირები „იძულებიან გაფრთხილებას, რომ გარდუვალია მოსახლეობის დიდი სიკვდილიანობა“ შიშლილის ნიადაგზე. მათ განმარტეს, რომ „მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ორგანიზმი, რომელიც იძულებული არიან ხანგრძლივი დროის განმავლობაში მშიერი ულუფით იცხოვრონ, თითქმის ან სრულებით ვერ შეძლებს ბრძოლას ეპიდემიათა გადამდები სნეულების წინააღმდეგ, რომელიც გავრცელებულია კორეაში“.

შემდეგ კორესპონდენტი წერს, რომ ამჟამად სეულში ათასობით ადამიანი „იკვებება არაყოველდღიურად“. სათბობიც ძალიან ძნელი საშოვნელია. რკინიგზებზე ჩვეულებრივ შეხვდებით შიშველ-ტიტველ მცხოვრებლებს, რომლებიც თითებით ჩიჩქნიან მიწას და ეძებენ მატარებლებიდან ჩამოცვივნულ ქვანახშირს.

ეგვიპტის გაზეთი სუეცის არხის ზონაში ინგლისის ჯარების მღელვარების შესახებ

კაირო, 19 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ალ-მისრიმ“ გამოაქვეყნა წერილი, რომელიც, გაზეთის სიტყვით, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრს ნაგიბს გაუგზავნეს სუეცის არხის ზონაში დაბანაკებული ინგლისელთა ჯარის ჯარისკაცებმა და თანამოაზრეებმა. ამ წერილში, რომელსაც ხელს აწერს სამი ოფიცერი, ინგლისელი სამხედრო მოსამსახურეები გენერალ ნაგიბს სთხოვენ, დახმარება გაგვიწიეთ. „ჩვენ შინ წასვლა გვინდა. გთხოვთ გაგვიწიოთ დახმარება. ჩვენ გვინდა ეგვიპტე ეგვიპტელებს დაუტოვოთ. ჩვენ არაფერი გვესაქმება თქვენს ქვეყანაში“,—ნათქვამია წერილში.

ამავე დროს „ალ-მისრი“ ადასტურებს, რომ წინათ მის მიერ გამოქვეყნებული ცნობები სუეცის არხის ზონაში ინგლისის ჯარების მღელვარების შესახებ სწორია. გაზეთი წერს, რომ ინგლისის სამხედრო ხელისუფლები ახლა სდევნიან მღელვარების მონაწილეებს, რომლებიც შინ დაბრუნებას ცდილობენ.

ბერლინში ჩავიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები

ბერლინი, 19 ნოემბერი. (საკდესი). გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით დღეს ბერლინში ჩამოვიდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გუნდი 24 კაცის შემადგენლობით.

ჩამოსულთა შორის არიან XV ოლიმპიურ ასპარეზობაზე გამარჯვებულნი ჩუკარინი, მურატოვი, გოროხოვსკაია, ურბანოვიჩი, ბოჩაროვა და სხვები.

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საჩვენებელ გამოსვლებში, რომლებიც გამართება ბერლინში, ლაიფციგში, ვიმარასა და ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის

სტალინირი. (ხაკ. კორ.). მთიანი სამხრეთ ოსეთი მოფენილია სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელით. ომისწინა, 1940 წელთან შედარებით მიმდინარე წელს ოლქში ორჯერ მეტი თანხა იხარჯება ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე. საავადმყოფოებს, აფთიაქებს და სხვ. შეხვდებით ყველაზე დაშორებულ სოფლებში. ოლქში ამჟამად 19 საავადმყოფო მუშაობს. მშრომელებს მომსახურებას უწევენ 7 რენტგენოლოგიური კაბინეტი. უკანასკნელ წლებში გაიზარდა პოლიკლინიკების რიცხვი.

სამედიცინო დაწესებულებები დაკომპლექტებული არიან მაღალკვალიფიციური ექიმებით და მომსახურე პერსონალით.

ნაღირობის საშემოდგომო სეზონი

წარმატებით მიმდინარეობს საქართველოში ნადირობის საშემოდგომო სეზონი. მონადირეებმა ამ სეზონის პირველსავე თვეს დაბოცეს მეტი გარეული ფრინველი და ნადირი, ვიდრე წინა წლების ამავე პერიოდში.

1 ოქტომბრიდან დაიწყო ნადირობა გარეულ ღორზე, კურდღელზე, გნოლზე. წელს განსაკუთრებით ბევრია კაკაბი. ნადირობა ყველაზე წარმატებით მიმდინარეობს საგარეჯოს რაიონში.

საქართველოს მონადირეთა კავშირი იღებს სათანადო ზომებს ქართული ფაუნის საუკეთესო წარმომადგენლის — ხოხბის დასაცავად. წლევანდელმა ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყო ამ ლამაზი ფრინველის გამრავლებას. ხოხობზე აკრძალულია ნადირობა 1956 წლამდე.

საქართველოს მონადირეები კვლავ განაგრძობენ ბრძოლას მგლებთან და სხვა მტაცებლებთან.

ხილ-ბოსტნეული დედაქალაქს

„თბილისბილბოსტანვაჭრობა“ ზამთრის პერიოდში დედაქალაქის მოსახლეობას მოამარაგებს ხილითა და ბოსტნეულით.

ინვენტარამდე შემოზიდულ იქნება 45 ტონა ინდოსტრიმა, 700 ტონა კომბოსტოს, 300 ტონა კიტრის წნილი, 400 ტონა ტომატი, 400 ტონა კარტოფილი, 450 ტონა ხახვი, 100 ტონა არაზისი, 100 ტონა ნიგოზი, 30 ტონა შავქლიავის ჩირი, დიდძალი ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი, აგრეთვე ლობიო და სტაფილო.

ციტრუსოვანი კულტურები შემოტანილ იქნება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შავი ზღვის სანაპირო რაიონებიდან.

მომმე რესპუბლიკებიდან და ოლქებიდან უკვე შემოზიდულია 52 ტონა ნატურალური თაფლი, 20 ტონა ზეთისხილი და 20 ტონა ტომატი.

თბილისში ზამთრის პერიოდში სულ შემოზიდულ იქნება 9.700.000 მანეთის ხილი და ბოსტნეული.

კოლმეურნეთა ახალი სახლები

ახალციხე. (საკ. კორ.). დაბა ვალეს მაზარაძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი და უხვმოსავლიანია ახალციხის რაიონში. ბევრი კოლმეურნე საკუთარი დანაზოგით იშენებს საცხოვრებელ სახლს. წელს ორსართულიანი 4-6-ოთახიანი სახლები აიშენეს კოლმეურნეებმა პეტრე თელიაშვილმა, პეტრე ჩიტაშვილმა, იოსებ ჩიტაშვილმა და პეტრე ხითარიშვილმა. ასეთივე სახლები წელს ვალეში 21 კოლმეურნემ აიშენა.

ახლო მომავალში ყველა ვალელ კოლმეურნეს ექნება კეთილმოწყობილი ახალი სახლი.

ბრიგოელ-ყვავილის სახელობის თეატრის ახალი სეზონი

თბილისის ბრიგოელ-ყვავილის სახელობის თეატრი მიმდინარე სეზონში ამზადებს ახალ სპექტაკლებს.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი გ. ღვინიაშვილი მუშაობს ფ. შილერის დრამაზე „ვერაგობა და სიყვარული“. სპექტაკლს აფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მხატვარი ი. შტენბერგი, მუსიკა კომპოზიტორ ვ. ბეგერისა.

თეატრმა დაიწყო მუშობა საქართველოს სსრ სახალხო არტისტ კ. მიუფეკის პიესაზე „ბალინდული დღე ჩვენი იქნება“, რომელიც დაწერილია პიტერს ებრაჰამსის ცნობილი რომანის „ქუხილის ბილიკით“ მიხედვით. სპექტაკლს დგამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. თაყაიშვილი, აფორმებს მხატვარი ი. შტენბერგი.

3. დავიდოვას კონცერტი

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში კვირას, 23 ნოემბერს, გაიმართება რსფსრ სახალხო არტისტის ვერა დავიდოვას კამერული კონცერტი. პროგრამაშია ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, შაპორინის, გრიგის, ბიზეს და ალნელიუსის რომანსები და სიმღერები. რიალს პარტიას ასრულებს დოცენტი მ. კამოეა.

მშობელთა ლექტორიუმი

თბილისის ოფიცერთა სახლთან შექმნილ მშობელთა ლექტორიუმში, სადაც რეგულარულად იკითხება საინტერესო ლექციები შვილებისათვის. უკვე წაკითხულია ლექციები თემებზე „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა უდიდესი მოვლენაა ჩვენი საშობლოს ცხოვრებაში“, „ქორწინება და ოჯახი საბჭოთა კანონმდებლობაში“.

ამ დღეებში მშობლებისათვის წაკითხულ იქნება მორიგი ლექციაც: „სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობა ბავშვთა აღზრდისათვის“.

ლექციებს კითხულობენ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები პროფესორი გ. თავზიშვილი, დოცენტები ა. კაპარავა, დ. მაჭავარიანი, უფროსი მასწავლებელი შ. სიხარულიძე, ლექტორები ი. ბრაილოვსკი, მ. სოროკინი და ნ. კორჩაგინი.

ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს შემდეგ საჯარო ლექციებს:

21 ნოემბერს საღამოს 8 საათზე აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) შედგება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ი. ტალახაძის საჯარო ლექცია: „ბურჟუაზიული დემოკრატიის დაცემა და კომუნისტური პარტიები, როგორც ნამდვილი დემოკრატიის მეფრთოშენი“.

იმავე დღეს საღამოს 8 საათზე ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კულტურის სახლში (ჩოღრიშვილის შესახვევი, 8) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ვ. ბერიძე წაიკითხავს საჯარო ლექციას: „ი. ჭავჭავაძე, როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი.“

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 22 ნოემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები თვითმრქმედი ანსამბლის შესრულებით; 09.20—კონცერტი. ბალაკირევის სიმფონიური ნაწარმოებები; 11.00 — არიები და ნაწყვეტები ვერდისა და პუჩინის ოპერებიდან; 11.30 — საუბარი „ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების აგრესიული გეგმები ახლო და შუა აღმოსავლეთში; 12.15 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; 12.45 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 — კონცერტი თ. ბახტაძისა და ვ. კიკნაძის შესრულებით; 17.40 — გადაცემა, ძიძღენილი თბილისის ვაჟთა პირველი სკოლის 150 წლისთავისადმი; 18.15 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით; 19.20 — სიმღერა მუსიკის კონცერტი; 19.45 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით. 20.45 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი; 21.30 — ლიტერატურული გადაცემა—ქართველი პოეტების ლექსები; 21.55 — რადიომიმოხილვა „მოკავშირე რესპუბლიკების მუსიკალური ცხოვრება“—ტრანსლაცია მოსკოვიდან; 23.00 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

21 ნოემბერს	ჟ. ბიზე—**კარმენ**
22 ნოემბერს	1. პ. ჩაიკოვსკი—**იოლანტა** 2. **საკონცერტო განყოფილება**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — კარმენი; რუსთაველის სახელობის — ჩაძირული ქვები; **მარჯანიშვილის სახელობის** — სანაპიროზე; **გრიბოედოვის სახელობის** — მაკარ დუბრავა (აბონემენტი 33, 34); **სომხური დრამის** — კლდე; **მუსიკალური კომედიის** — შურის მაძიებელი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 21, 5 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წინ, უშიშარნო! (6 ს. 30 წ.).

მოქალაქე **გურგენ ოგანეზის-ძე ლილანიანმა,** მცხოვრებმა აკოფიანის ქ. № 12, აღძრა საქმე მიისნიკოვის ქ. № 62 მცხოვრებ მოქალაქე **როზა ოგანეზის ასულ აზატიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 3 დეკემბერს, დღის 12 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნოდარ იულონის-ძე ლოგოფური** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„კლავდიოს პტოლემაიოსი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ“.**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **დოქტორი ლ. მელიქსეთბეგი;** მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **მ. ალექსიშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის შამპანურის ქარხანას ესაჭიროება: ზეინკლები 4-7 თანრიგისა, მეფყალსადენე ზეინკლები, ცეცხლფარეშის თანაშემწეები, დურგლები და ხეროები, მემინეები, ელექტრომონტიორები 5-7 თანრიგისა, მოარეულები 6-7 თანრიგისა, მექანიკოსები, მშენებელი **ინჟინერი** ან **ტექნიკოსი,** მეაკუმულატორე, ასენიზატორები, მღებავები, მხურავები.

მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართობით. ქალაქში მცხოვრებთ შეუძლიათ ისარგებლონ ქარხნის სარეისო ავტობუსებით.

მისამართი: ავჭალა, შამპანურის ქარხანა, ტელ. 3-64-01.

ცნობებისათვის მიმართეთ დირექციას.

აკადემიკოს მუხაძის სახელობის ნიხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე: საორგანიზაციო-მეთოდური სექტორის ხელმძღვანელი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (პათოლოგ-ანატომი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი).

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის ფურცელი, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, დიპლომის ასლი სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ, შრომების სია და შრომები, ორი ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა — ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე — კამოს ქ. № 43.

1952 წლის 30 ნოემბრის ქ. ფრუნზეში

შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 30-ე ტირაჟი.

ტირაჟში სესხის თვითეული თარიღზე გათამაშდება 8.500 მოგება 4.650.200 მანეთის თანხისა, მათ შორის 50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად ტარდება სესხის მოგებათა ექვსი ძირითადი ტირაჟი — 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და მოგებათა ერთი დამატებითი ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

მოქალაქე **არმენაკ ივანეს-ძე გირგიდოვმა,** მცხოვრებმა თუმანიანის ქ. № 12, აღძრა საქმე დავითაშვილის ქ. № 39. მცხოვრებ მოქალაქე **ემა გუკასის ასულ გირგიდოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ბიძინა გულისაშვილი, მანანა შარაშიძე, რძლები მანია, მარიკა, შვილიშვილები გაიოზ, ნანული, სულხან, ჯემალ, მერაბ იუწყებიან **ეკატერინე გრიგოლის ასულ გულისაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-XI, 8 ს. გამოსვენება 22-XI, 5 ს. ნინოშვილის ქ. № 50.

თბილისის საოლქო აღმასკომის არქიტექტურის საქმეთა განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ეპრაქსია მეთოდეს ასულ შიშინაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ტასო, შვილი ანა მხეიძეები, სიძე ე. ნიკურაძე, შვილიშვილი გივი იუწყებიან **პარმენ კონსტანტინეს-ძე მხეიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22-XI, 7 ს. გამოსვენება 23-XI, 4 ს. თარხნიშვილის ქ. № 21.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის და თეორიული მექანიკის კათედრების თანამშრომლები იუწყებიან **დომენტი ბენდუქიძის** გარდაცვალებას.

თამარ, გრიგოლ, ირაკლი, ვახტანგ, ნინო ბენდუქიძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძის **დომენტი ოტიას-ძე ბენდუქიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23-XI, 2 ს. კარგარეულის ქ. № 2.

ტრესტ „საქჩიმშენმონტაჟის“ კოლექტივი იუწყება **ეკატერინე ბაგრატს ასულ ტერ-გრიგოროვას** გარდაცვალებას.

მეუღლე ციცინო, შვილები გიორგი, რეზო, ნინო, ქეთო, ლუბა, რძალი ასინეთი, სიძე ზ. ჯინჭარაძე, შვილიშვილები გენო, მურმან, მერი, გურამ იუწყებიან **ვლადიმერ მაქსიმეს-ძე კალანდარიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XI ქ. ბათუმში, გამოსვენება სუხუმის ქ. № 25.

შვილები შუშანა, მარგალიტა, სიძეები მიხეილ არობელიძე, ვლასი სიხარულიძე, შვილიშვილები ნათელა, თინა, სიმონ, იური, ანზორ იუწყებიან **ვლადიმერ მაქსიმეს-ძე კალანდარიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, **განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდისა—3-57-61, მრეწველობისა—3-81-84, სოფლის ჩეურნეობისა—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილებისა—3-73-24, განცხადებებისა—3-51-81, გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. ბ. ბერიას სახელობის ჰოლოგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 16415